# გარეჯის მაცნე



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №23(109) 2015 წ. 1-15 დეკემბერი ფასი 50 თეთრი


## მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი 2016 წელსაც გაგრძელდება



### სოფელი მზისგული



გვერდი 3

### პარლამენტარის უფლება-მოვალეობები

(იურისტის საუბარი)



გვერდი 7

### მათ მალე საკუთარი ჭერი ექნებათ

გვერდი 2

### სპორტი



გვერდი 8

### ამოუცნობი ფენომენი



გვერდი 5

### ჩვენი მეზობელი სოფელი სართიჭალა




გვერდი 6


### გამოიწერეთ გაზეთი „გარეჯის მაცნე“

ხელმოწერა

1 წლით – 12 ლარი

6 თვით – 6 ლარი

1 თვით – 1 ლარი

მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს 1 დეკემბერს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი* გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. მან თათბირის მონაწილეებს კიდევ ერთხელ შეახსენა მიმდინარე წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით განხორციელებული და მიმდინარე პროექტების მნიშვნელობა და ვრცლად ისაუბრა საქართველოს მთავრობის იმ მიზნებსა და ამოცანებზე, რომელიც დასახულია მომავალ, 2016 წლის ინფრასტრუქტურის სფეროს მოსაწესრიგებლად ჩვენს მუნიციპალიტეტში. როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობა კვლავ აგრძელებს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განხორციელებას და ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ამ კუთხით საკმაოდ სოლიდური თანხის გამოყოფაა განსაზღვრული. როგორც მან აღნიშნა, სწორედ დღეიდან, 1 დეკემბრიდან უნდა ჩაერთოს ჩვენი რაიონის ყველა სოფლის თითოეული მოსახლე იმ პრიორიტეტული საკითხების დღის წესრიგში დასაყენებლად და დასახვეწად, რაც სოფელს, მის მოსახლეობას სიკეთედ წაადგება, რაც გააუმჯობესებს მათ სოციალურ, საყოფაცხოვრებო მდგომარეობას. კვლავაც ნომერ პირველ ამოცანად რჩება სასმელი წყლის სისტემების, გზების, ქუჩების მოწესრიგება.

თათბირზე გამგებლის თითოეული წარმომადგენლის მიერ დაწვრილებით იქნა წარმოდგენილი ის პრიორიტეტული საკითხები, რომლებიც ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობას ნომერ პირველ მოსაგვარებელ პრიორიტეტად მიაჩნია. ასე, მაგალითად (თუმცა ეს არასრული ჩამონათვალია):

**უჯარმაში** პრიორიტეტულ საკითხებად მიაჩნიათ – სასმელი წყლის მაგისტრალის (6კმ-ზე) ამოცვლა, ნაგვის ურნების დადგმა, გარეგანათების მოწყობა, ბუნებრივი აირის შეყვანა, ყოფილი სასოფლო კლუბის შენობის გადახურვა.

**უდაბნო** – ქუჩების მოხრეშვა, ნაგვის ურნები, კანალიზაცია, გამგებლის წარმომადგენლის სამუშაო ოთახი, ჭიდაობის დარბაზის მოწყობა, სარიტუალო დარბაზისათვის რკინისსაკეციანი მაგიდებისა და სკამების შეძენა.

**ყანდაურის თემი** – ზემო ყანდაურის გზის შეკეთება, სასმელი წყლის შეკეთება, ნაგავმზიდი მანქანის შეძენა, ყანდაურა-ვერხვიანის გზის მოწესრიგება.

**შიბლიანი** – ყოფილი სასოფლო კლუბის სარიტუალო დარბაზად გადაკეთება, უბნების მოხრეშვა, გამგებლის წარმომადგენლის სამუშაო ოთახისათვის სახურავის გადახურვა.

**პატარა ჩაილური** – სანიაღვრე არხების შეკეთება, გარე განათების მოწყობა, სპორტული დარბაზის მოწესრიგება.

**გომბორი** – ნაგავმზიდი მანქანისა და ნაგვის ურნების შეძენა.

**წყაროსთავი** – გარეგანათება სკოლის ქუჩაზე, ორი სოფლის – ნინოწმინდა-წყაროსთავის გამყოფი გზის მოხრეშვა.

**ნინოწმინდა** – მდინარე იორზე გადასასვლელი ხიდის (მოსახლეობის კუთვნილ სავარგულებმდე მისასვლელი), სანიაღვრე არხების მოწყობა.

**მანავი** – ე.წ. ტურის უბანში სანიაღვრე არხის, სოფელში მგზავრთა მოსაცდელის სამ ადგილას მოწყობა, სოფლის სასაფლაოს შემოღობვა, ე.წ. ზემო მანავისა და მანავის დამაკავშირებელ ქუჩაზე გარე განათების მოწყობა.

**ვერხვიანი** – სასმელი წყლის მაგისტრალის ამოცვლის სამუშაოების დასრულება.

**ბადიაური** – სასმელი წყლის ე.წ. „სოკარის წყლის“ მაგისტრალის 7 კმ-ზე ამოცვლა. გზების მოხრეშვა, საბავშვო ბაღის შენობის რემონტი, სოფლის ადმინისტრაციული შენობის შეკეთება, ზემო ყანდაურიდან მომავალი სასმელი წყლის მილის ადგილმდებარეობის შეცვლა (მილი ზერელედაა ჩაგდებული მინდორსა და სავარგულებში და ხვნა-თესვის დროს ხშირია მილის დაზიანების შემთხვევები).

**კაკაბეთი** – გზის მოხრეშვა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, გარე განათება.

**დიდი ჩაილური** – სარიტუალო დარბაზი.

**კოჭბანი** – სასმელი წყალი, სოფლის სასაფლაოს შემოღობვა.

**მზისგული** – სარიტუალო დარბაზის დამთავრება, სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია, სოფელში სადრენაჟე სისტემის მოწყობა, განათება, საექიმო ამბულატორიის, სოფლის ადმინისტრაციული შენობის რემონტები.

**პატარძეული** – სასმელი წყლის მილის 1,5 კმ-ზე ამოცვლა.

**ხაშმი** – სარწყავი არხის, გზის, სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, გარეგანათება.

**დუზაგრამა** – სოფლის ადმინისტრაციული შენობა (უფრო სწორად – ოთახის) კაპიტალური რემონტი.

**თულარი** – სასმელი წყლის დასრულება.

**იორმუღანლო** – ხიდის გაწმენდა, სასაფლაოს შემოღობვა.

**ლამბალო** – სასმელი წყლის ცისტერნების შეძენა, სასაფლაოს შემოღობვა.



## დაწყებულია უსახლკაროთა აღრიცხვა-რეგისტრაცია

# მალე მათ საკუთარი ჭერი ექნებათ



**მიმდინარე** წლის სექტემბრის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ შენობებში თვითნებურად შესახლებულ მოქალაქეთა აღრიცხვის, შერჩევის, მათთვის სოციალური საცხოვრისის გადაცემისა და შემდგომი მონიტორინგის განხორციელების წესი, რომელიც განსაზღვრავს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკაროთა, ასევე მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ შენობებში თვითნებურად შესახლებულ მოქალაქეთა ოჯახების შესარჩევ კრიტერიუმებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეებს, უსახლკარო ოჯახების აღრიცხვის, შერჩევის, მათთვის სოციალური საცხოვრისის გადაცემისა და შემდგომი მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებისა და მუშაობის წესს.

დღეს ჩვენ ვესაუბრებით აღნიშნული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს, ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს* დავით ივანიშვილს.**

***– ბატონო დავით, როდის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და თუ შეიძლება გაგვაცანით მისი შემადგენლობა.***

– სამუშაო ჯგუფი შექმნილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის №161 (9.10.2015) ბრძანების საფუძველზე. ჯგუფის ხელმძღვანელი მე გახლავართ. ჯგუფის წევრები არიან: გიორგი გოგოჭური და მადლენა სამუნაშვილი –საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტები, ლალი ზაბახიძე – გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, ლევან ნაკულაშვილი – ამავე განყოფილების სპეციალისტი, სოფიო შაქარაშვილი – გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი, რუსუდან ხარძიანი – გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა მთავარი სპეციალისტი უსახლკაროთა რეგისტრაციის საკითხებში, მევლუდ დუჩიძე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, რომან სურმანიძე – გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის და ასევე განყოფილების მთავარი სპეციალისტი, გამგებლის წარმომადგენელი შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში.

***– რა უფლებამოსილება აქვს სამუშაო ჯგუფს?***

– ჯგუფის წევრები ამოწმებენ ჯგუფის სხდომაზე განსახილველად წარდგენილი განცხადებებისა და დოკუმენტების სისრულეს, საფუძვლიანობას, მის შესაბამისობას წესის მოთხოვნებთან. სამუშაო ჯგუფის წევრი იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განხილვის ან მისი განსახილველად დატოვების შესახებ, განიხილავს განცხადებაში მითითებულ საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების, ან მასზე უარის თქმის შესახებ; ჯგუფის მიერ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, ეს იქნება თანხმობა თუ უარი, უნდა იყოს დასაბუთებული, რომელიც აისახება ოქმში და ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნაში.

***– სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელოს წარმოადგენს შეფასების კრიტერიუმი. რა სავალდებულო მოთხოვნებია იმისათვის, რომ სამუშაო ჯგუფმა გადაწყვეტილება განმცხადებლისათვის დადებითად მიიღოს?***

– დიახ. გეტყვით, სოციალურ საცხოვრისში შესახლებული ოჯახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. ოჯახი არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ არ უნდა ფლობდეს საცხოვრებელ ფართს, ან მისი საცხოვრებელი არ უნდა აკმაყოფილებდეს ცხოვრებისათვის აუცილებელ მინიმალურ პირობებს, ე.ი. დანგრეული უნდა იყოს.

2. ოჯახის ყველა წევრი უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ფაქტობრივად უნდა ცხოვრობდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ამასთან, უპირატესობა მიენიჭება იმ ოჯახებს, რომლებიც ამ ორ კრიტერიუმთან ერთად აკმაყოფილებს აქ ჩამოთვლილ კრიტერიუმებიდან ერთს მაინც:

ა) ოჯახის სარეიტინგო ქულა სიღარიბის დაძლევის პროგრამის ფარგლებში არ უნდა აღემატებოდეს 100 ათასს;

ბ) ოჯახს, რომლის ერთი წევრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირია;

გ) მარტოხელა მშობლის მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს სამი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი;

დ) ოჯახი, რომელიც შედგება საპენსიო ასაკის მარტოხელა ერთი ან რამდენიმე პირისაგან და სადაც იზრდება 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილიშვილი;

ე) უვლის განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს ან დედ-მამით ობოლ 18 წლამდე ასაკის ბავშვს, ან ბავშვებს;

ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრს აქვს გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობა;

ზ) არის მარჩენალდაკარგული ან მარტოხელა მოხუცი;

თ) სტიქიის (ხანძრის, ქარის და ა.შ.) შედეგადაა დაზარალებული;

მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ეს კრიტერიუმები ზედმიწევნით სრულად იმიტომ ჩამოვთვალე ხაზგასმით, რომ განცხადების ავტორი წინასწარ გაეცნოს, მიუხედავად თავისი მდგომარეობისა და ისე შემოიტანოს განცხადება სოციალური საცხოვრისის მოთხოვნისათვის.

***– როგორც ვიცით, სოციალური საცხოვრისის გადაცემის მსურველთა განცხადების მიღება სამუშაო ჯგუფმა ოქტომბრის შუა რიცხვებიდან დაიწყო. დღეისათვის რამდენი განცხადებაა შემოსული და მათგან რამდენია თვითნებურად შესახლებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ შენობებში?***

– განცხადებების მიღება დაწყებულია და მიღება შეწყდება 17 დეკემბრიდან. ჯერ-ჯერობით მიღებული გვაქვს 44 განცხადება. ჩვენი მუნიციპალიტეტის ბალანსზე გვაქვს ორი შენობა – ერთი ყოფილი სახანძრო სამსახურის ადმინისტრაციული შენობა (ყოფილი პოლიციის შენობის ეზო), სადაც ჯერ-ჯერობით 2 ოჯახი ცხოვრობს და ყოფილი პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობა. ამ უკანასკნელში 2002 წლიდან შესახლებული იყო რაიონის გამგებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. სულ 16 ოჯახი. ხელშეკრულებები უგრძელდებოდათ 1 წლის ვადით. მიმდინარე წლის ზაფხულში. აღნიშნულ შენობას სახურავი ახლიდან გაუკეთდა და გაუკეთდა კანალიზაცია. იმის გამო, რომ წლების განმავლობაში მეხუთე სართულზე სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა, იქ არავინ ცხოვრობდა. ამასთან, კანალიზაცია საერთოდ გაუქმებული იყო და შენობის სარდაფი მთლიანად კანალიზაციის წყლით იყო სავსე. დღეს ეს პრობლემები მოხსნილია. შენობაში არის საკმაო ფართი ჩვენი განმცხადებლების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ახლა მეორე პრობლემა იჩენს თავს, მეხუთე სართულზე შესაცვლელია კარ-ფანჯარა. ასე, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენი სამუშაო ჯგუფი განიხილავს შემოსულ განცხადებებს, განსაზღვრავს, რამდენად აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს ოჯახი, რომელსაც სავალდებულო მოთხოვნები მოითხოვს და ვნახოთ, ვის შეიძლება გადაეცეს საცხოვრებელი.

# მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო

# მზისგული

## (ბოგდანოვკა)



გამგებლის წარმომადგენელი მიხეილ ობოლაშვილი

### მოკლე ისტორია

**სოფელი** საგარეჯოს რაიონში მდებარეობს კაჭრეთის ვაკის ჩრდილოეთ კიდეზე, ზღვის დონიდან 460 მეტრზე, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 28 კილომეტრზე.

ისტორიული წყაროებიდან და ახლო



საბავშვო ბაღში

წარსულიდან, ადგილი, სადაც ახლა სოფელია გაშენებული, ადრე დაუსახლებელი, უკაცრიელი, ტრიალი, მდინარე ლაკბეს ნაპირზე მდებარე ადგილი ყოფილა – კახელი თავად ანდრონიკაშვილის კუთვნილება.

გასული საუკუნის 10-იან წლებში რუსეთის სამხრეთის პროვინციებიდან იმპერატორის მიერ გადმოსახლებულმა რუსმა გლეხებმა რუსული სოფლის მიხედვით დაარსეს სოფელი და სახელად თავისი სილამაზის მიხედვით შესაბამისად მისცეს – „ბოგ-დანოვკა“ – ღმერთისგან მიცემული. ანდრონიკაშვილისეულ ადგილს კი „ოლე“ ერქვა. „ოლე“ ძველ ქართულში მარტოსულს, ან დაუსახლებელ ადგილს ნიშნავს.

1916 წელს იორმუღანლოელებს ამ სოფლის მოურავი გვარად კვეზერელი მოუკლავთ – გულადი, უშიშარი კაცი, რომლის შიშით აქაურ მეცხვარეებს და მოსახლეობას იორმუღანლოელები კი არა, ლეკებიც ვერაფერს უბედავდნენ...

სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამ სოფელში გაბედულად ჩამოსახლდნენ ჯიმითიდან, შიბლიანიდან, ყანდაურიდან, კაჭრეთიდან. რუსებმა და ახლადჩამოსულებმა აქ სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ჩამოაყალიბეს, რომელშიც მათთან ერთად შიბლიანიც იყო გაერთიანებული. 1982 წელს კოლმეურნეობა ორად გაიყო და ბოგდანოვკას სულ 1203 ჰა მიწის ფართობი ერგო. აქედან 678 ჰა სახნავ-სათესი იყო. მრავალწლიან ნარგავებს 209 ჰა ეკავა, ვენახს – 162, საძოვარს – 139, თუთის პლანტაციებს – 10 ჰა, ხილის ბაღს – 36 ჰა, იმ დროს კოლმეურნეობაში 228 კოლწევრი იყო, რომლებიც მევენახეობის –3, მემინდვრეობის – 1 და მებოსტნეობის ერთ ბრიგადასა და მეცხოველეობის ფერმაში შრომობდა.

სოფელში აღადგინეს კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა, გარემონტდა სასოფლო კლუბი, საექიმო ამბულატორია, ამუშავდა აბანო, პარალელურად დაიწყო საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლისა და კოლმეურნეობის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობები. ადმინისტრაციული შენობის I და II სართულზე: კოლმეურნეობის ადმინისტრაცია, სასტუმრო, ბუფეტი, სხდომათა დარბაზი განთავსდა.

**დაიწყო:**

* აბრეშუმის ჭიის ფარდულის მშენებლობა;

* საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის მშენებლობა 50 ბავშვზე

*** გაჯის ქარხნის მშენებლობა, რაც 1500000 მანეთი დაჯდა. ქარხანაში 63 კაცი იმუშავებდა. ყოველწლიურად ქარხანა 200000 მანეთ მოგებას მისცემდა კოლმეურნეობას. აქ არსებულ გაჯის საბადოში თაბაშირის შემცველობა 60%-ს შეადგენს, რაც იშვიათობაა.

*** ე.წ. „უროვიან გორაზე“ მდინარე ლაკბეს მასივში სადორის მშენებლობა

*** მდინარე ლაკბე კალაპოტში მოაქციეს და იქ თავთავიანი კულტურები დათესეს.

### სოფელი დღეს

**სოფელში** 284 კომლია, 760 მოსახლით.

მოსახლეობა ძირითადად მისდევს მევენახეობას, მემინდვრეობას, მებოსტნეობას.

მიწის ფართობი სულ 1398 ჰა-ია, აქედან, კერძოა 432 ჰა,966 ჰა სახელმწიფოსია, სასოფლო სამეურნეო მიწებს 1789 ჰა უკავია.



საბავშვო ბაღის მენეჯერი მანანა ფილაური

სახნავ-სათესია სულ 756 ჰა, აქედან კერძოა 308 ჰა, სახელმწიფო – 680 ჰა. საძოვარი – კერძოა 180 ჰა, სახელმწიფოსი – 500, ვენახს 353 ჰა უკავია.

სოფელში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა (მენეჯერი ნუგზარ ჩალათაშვილი), რომელშიც 82 მოსწავლეა 12 ფინანსურ კლასში, მათ სწავლა-აღზრდას კი 23 პედაგოგი ემსახურება. სკოლა 1974 წელსაა აშენებული. აქ არ არის სპორტდარბაზი, სკოლის ეზოშია მოწყობილი სპორტული მოედანი.



სოფლის ადმინისტრაციული შენობა

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი მანანა ფილაური) 21 აღსაზრდელს აღმზრდელი მარიამ გაბრელაშვილი, აღმზრდელის თანაშემწე თინათინ იაშვილი, მზარეული მზია ჯავახიშვილი, მედდა მზია გელიკოშვილი და დამლაგებელი მანანა ჭამიაშვილი ემსახურება.



სოფლის საჯარო სკოლა

საბავშვო ბაღის შენობა,როგორც აღვნიშნეთ, 1982 წელს აშენდა – 2 კორპუსითა და დამაკავშირებელი გადასასვლელით. შემდეგ თავი იჩინა შენობის დეფექტებმა – დაიბზარა კედლები და შესაბამისად – სახურავი. მშენებლობისას ვერ გაითვალისწინეს ე.წ. „ლამბიერის“ შემოვლება, ამიტომ 2011 წელს გაარემონტეს ერთი კორპუსი, შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არსებული. დღეს აქ 21 აღსაზრდელიდან 5



საკრებულოს დეპუტატი სოსო ჭიკაძე

სასკოლო ასაკისაა. მიმდინარე წლის მარტიდან საბავშვო ბაღებს მედიცინის დისა და დამლაგებლის შტატები დაემატა, რამაც გააუმჯობესა აქაური აღსაზრდელებისათვის სამეცადინო და სათამაშო პირობები.

სოფელში ფუნქციონირებს ჭიდაობა ძიუდოს სპორტული სექცია,რომელსაც ყოფლი მოჭიდავე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი სოსო ჭიკაძე ხელმძღვანელობს. სექციაში 22 მოსწავლეა გაერთიანებული. ბოგდანოვკელებთან ერთად აქ ჯიმითიდან და ბადიაურიდანაც ემატება 4 მოსწავლე. სექციაში კვირაში სამჯერ ტარდება ვარჯიშები. აქაური მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ რაიონულ თუ რეგიონულ შეჯიბრებებში. აქ ჰყავთ 2014-2015 წლების რაიონული ტურნირების გამარჯვებულები მიხეილ გურგენიძე, ნიკა ჩოკოშვილი, ლაშა და გოგიტა მღებრიშვილები, სოსო გიქორაშვილი, ერეკლე ხუროშვილი, რეზიკო ჭიკაძე, ძიუდოისტი დიმიტრი ზირაქაშვილი კი მკლავჭიდშიც იღებს ხოლმე მონაწილეობას. ძირითადად სექციაში 2001-2003 წლებში დაბადებულები არიან გაერთიანებული. მაგრამ ჰყავთ 2009 წლიანები – გიორგი ალუღიშვილი და ილია ჯაფოშვილი.



სკოლის დირექტორი ნუგზარ ჩალათაშვილი

სექცია სოფლის ადმინისტრაციულ შენობის პირველ სართულზეა განთავსებული – ყოფილი სასოფლო კლუბის დარბაზში. აქ სავარჯიშო ინვენტარი სოსო ჭიკაძის ხელით კუსტარულადაა დამზადებული, მაგრამ მოსწავლეები მეცადინეობას არ აცდენენ და დიდი მონდომებით ვარჯიშობენ ყოველ მეცადინეობაზე.

სოფელს, ისევე, როგორც თითქმის ყველა სოფელს თავისი **პრობლემები** აქვს, რომლებიც ნელ-ნელა გვარდება. მისთვის გადაუჭრელ პრობლემად რჩება ის გრუნტის წყლები,რომლებიც სოფლის მოსახლეობის სახლის პირველ სართულებს, ეზოებს, ქუჩებს აჭაობებს, ტბორავს; სოფლის სარიტუალო სახლის რეაბილიტაციას ბოლომდე მიყვანა უნდა, რომელიც/ ყოფილი საბავშვო ბაღის ერთ-ერთ შენობაშია განთავსებული, მოსახრეშია ქუჩები, შეკეთებას მოითხოვს სასმელი წყლის სათავე ნაგებობა, რომელიც მეზობელი სოფლიდან მოედინება. დასამთავრებელია ეკლესიაც, მოსაწყობია სპორტული მოედანი.



მზისგულელი ნორჩი ძიუდოისტები მწვრთნელ სოსო ჭიკაძესთან ერთად

## სოფლის მეურნეობა

# მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი 2016 წელსაც გაგრძელდება

**საქართველოს** მთავრობის გადაწყვეტილებით "მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი" 2016 წელსაც გაგრძელდება. სამთავრობო პროგრამა სოფლად მცხოვრები მცირემიწიანი ფერმერების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

2016 წელს პროექტის ფარგლებში:

• ბენეფიციარები, რომლებსაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ 0.25 ჰა-დან 1.25- ჰა-ს ჩათვლით სახნავი მიწის ფართობი, მიიღებენ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათს 1 ჰა-ზე 140 ლარის გაანგარიშებით (მიწის ფართობის პროპორციულად).

• ბენეფიციარები, რომელთაც საკუთრებაში აქვთ 0-დან 0.25 ჰა-მდე მიწის ფართობი – 50 ლარიანი აგრო ბარათით ისარგებლებენ.

• ბენეფიციარებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ნაკვეთი და სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-ს ჩათვლით მიწის ნაკვეთ(ებ)ი, მიიღებენ „აგრობარათს" 1 ჰა-ზე 140 ლარის განგარიშებით სასოფლო-სამეურნეო საქონლის შესაძენად.

მცირემიწიან ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ „აგრო ბარათით" შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო საქონელი (სასუქები, სათესლე, სანერგე მასალა, მცენარეთა მოვლის საშუალებები) ერთიანად, ნაწილ–ნაწილ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მომწოდებლისგან.

2013 წელს, მთავრობის ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი დაიწყო. პროექტის მიზანს მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობა, პირველადი წარმოების ზრდის სტიმულირება და სტაბილური შემოსავლების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. სამწლიან პროგრამაში უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის ბენეფიციარი ჩაერთო. წელს სამწლიანი პროგრამის ბოლო ეტაპი მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში საქართველოს ყველა რეგიონში მოეწყო 600-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის სარეალიზაციო ობიექტი და ფერმერებს საშუალება აქვთ მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიძინონ მათთვის სასურველი საქონელი.

**3 წლის განმავლობაში "მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის" ფარგლებში:**

**2013 წელი - აღნიშნული პროექტის ფარგლებში 710,479 ბენეფიციარმა მიიღო 190,466,914 ლარის სარგებელი. 2013 წელს პროექტის ფარგლებში ჯამში დამუშავდა 208,375 ჰა სასოფლო–სამეურნეო მიწის ფართობი.**

**2014 წელი - აღნიშნული პროექტის ფარგლებში 757,145 ბენეფიციარმა მიიღო 69,954,923 ლარის სარგებელი. 2014 წელს პროექტის ფარგლებში ჯამში დამუშავდა 220,466 ჰა სასოფლო–სამეურნეო მიწის ფართობი.**

**2015 წელი – პროექტის ფარგლებში 767,017 ბენეფიციარისთვის გამოყოფილია 56.858.420 ლარის ღირებულების სარგებელი. 2015 წლის 18 ნოემბრის მდგომარეობით ჯამში პროექტის ფარგლებში მოხნული მიწის ფართობი შეადგენს 212,141 ჰექტარს.**



***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო***

# თხილი

**საქართველოში** გავრცელებული მრავალრიცხოვან კულტურათა შორის თხილი ერთერთი უძველესი და ძვირფასი კაკლოვანი კულტურაა.

ბუნებაში გვხვდება თხილის ხუთი სახეობა: 1. ჩვეულებრივი თხილი 2. მსხვილნაყოფა თხილი 3. პონტოს თხილი 4. დათვის თხილი 5. ამერიკული თხილი. დღეს არსებული ყველა კულტურული თხილის საწყის ფორმად პირველი სამი სახეობაა მიჩნეული.

გავცელების არეალი: 1. ჩრდილოეთ ამერიკა 2. ევროპა 3. მცირე აზია 4. აღმოსავლეთ აზიის სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი.

თხილის გავრცელების პირველ კერად აღიარებულია შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთი სანაპირო, კავკასია და მცირე აზია. პონტოდან და მისი მოსაზღვრე რაიონებიდან თხილი შეტანილი იქნა ძველ საბერძნეთში, საიდანაც იგი გავრცელდა სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში, აქედან კი საფრანგეთში, ესპანეთში, ინგლისში, გერმანიაში და აშშ-ში. შავი ზღვის სანაპიროზე კი ეს კულტურა მკვლევართა აზრით ცნობილი იყო ჩვ. წ.აღ-მდე მეექვსე საუკუნეში.

საქართველოში გავრცელებული და დარაიონებულია თხილის შემდეგი ჯიშები: 1. გულშიშველა დედოფლის თხილი (დამსკი პალჩიკი) 2. ანაკლიური (ფუთქურამი) 8.საივანებო 3. შველისყურა (სკვერი) 9. განჯა 4. ხაჭაპურა 10. ლომბარდიის თეთრი 5. ცხენის ძუძუ 11. ჩხიკვისთავა 6. ნემსა 12. ათა-ბათა და სხვა. თხილის სამრწველო დანიშნულების ბაღის გასაშენებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნაკვეთის სწორად შერჩევას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ადგილის რელიეფზე, ზღვის დონიდან სიმაღლეზე, მცენარეულ საფარზე, გრუნტის წყლის დონის სიმაღლეზე და წინა პერიოდში ნაკვეთის დანიშნულებაზე. ამასთანავე უნდა ვიცოდეთ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ნალექების რაოდენობა, ჰაერის შეფარდებითი რაოდენობა, ქარის ქროლვის სიძლიერე და სიხშირე.

თხილის სამრეწველო ბაღის გაშენება რეკომენდირებულია იმ ადგილებში, სადაც ჰაერის მინიმალური ტემპერატურა არ ეცემა მინუს 23-25 გრადუსამდე. ნერგები უნდა შეირჩეს დარაიონებული და აპრობირებული სადედე ბუჩქებიდან. თხილის კულტურა ეგუება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგს, გარდა მძიმე თიხნარი და დაჭაობებული ადგილებისა. ყველაზე კარგად ხარობს კარგი აერაციის, ტენიან, ორგანული ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგებზე, ხოლო ნიადაგის მჟავიანობა უნდა იყოს პ 5,5-8-მდე. ვაკე ან 5-7 დაქანების მქონე ნაკვეთებზე შესაძლებელია მცენარეთა სხვადასხვა სიხშირით განლაგება, იგი იცვლება ნიადაგის თვისებების, ჯიშის ზრდის სიძლიერის, ბაღში ჩასატარებელ სამუშაოთა მექანიზაციათა გამოყენების და სხვა ფაქტორების მიხედვით. რიგის მიმართულება ვაკე ადგილებში ნებისმიერი შეიძლება იყოს, ხოლო ფერდობზე რიგების ჰორიზონტალური მიმართულება ეძლევა. უფრო დიდი დაქანების ფერდობებზე რეკომენდირებულია ტერასების მოწყობა. აღსანიშნავია, რომ თხილს აქვს ძლიერი და ნიადაგის ზედა ფენებში ჰორიზონტალურად განლაგებული ფესვები, რითაც იგი ამაგრებს და იცავს ნიადაგს ჩამორეცხვიდან.

მცენარეთა განლაგება შემდგომი გაშენებისათვის იწყება აგვისტოს ბოლოს შემდეგი სქემით 5ხ3, 5ხ4, 5ხ5, 4ხ4 და 4ხ3 მ. ბაღის გასაშენებლად ნაკვეთის შერჩევის, ტოპო-გეო-დეზიური და საპროექტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ ნიადაგის მომზადება, დამუშავება (პლანტაჟი, ჯვარედინი გადახვნა, დადისკვა, დაფარცხვა, დაგეგმარება) შემდგომი გაშენებისათვის იწყება აგვისტოს ბოლოს და მთავრდება ნოემბრის დასაწყისში. მცენარის დარგვამდე დასარგავი ორმოს მომზადება ორი კვირით ადრე ტარდება. ორმოს სიდიდე 40X50X50 სმ-ია, სადაც შეტანილი უნდა იქნეს 10-15 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა ორგანული წარმომავლობის გადამწვარი ორგანული მასა.), 100 გრ. ფოსფოროვანი და 60 გრ. კალიუმიანი სასუქი. თითოეულ ორმოში ირგვება კარგად განვითარებული ერთ ან ორ წლიანი სტანდარტული ნერგი. აუცილებელია ნერგის დარგვისთანავე მორწყვა. სამრეწველო ბაღის გაშენება უნდა მოხდეს ორი-სამი ჯიშის ნერგებით, რათა დამამტვერიანებელი ჯიშის ფაქტორი იქნეს გათვალისწინებული. თხილის ბაღის გაშენებისას რეკომენდირებული აგრო ვადაა 15 ნოემბრიდან 15იანვრამდე. თხილის კულტურის ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე სხვა მრავალწლიანი კულტურებიდან გამომდინარე ნერგის ფესვის ყელი უნდა დაიფაროს მიწით 7-10 სმ-ის სიმაღლეზე. სამრეწველო ბაღის ფართობი 10 ჰა-ზე მეტია, უნდა დაიყოს კვარტლებად და გაშენდეს ქარსაფარი ზოლები.



ახლად გაშენებული თხილის ბაღში მიზანშეწონილია რიგთაშორის სათოხნი პარკოსანი კულტურების თესვა (სოიო, ლობიო და სხვა) ან სასიდერაციო კულტურების თესვა, რომელიც ყვავილობის პერიოდში ჩაიხვნება ნიადაგში. მოვლა ითვალისწინებს რიგთაშორისების პერიოდულ საგაზაფხულო და საშემოდგომო დამუშავებას: თხილის ძირების შემობარვას, ორ სამჯერ შემოთოხვნას და ორგანულ მინერალური სასუქების გამოყენებას (მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ ერთ ბუჩქზე შეიტანება 20-30 კგ ორგანული სასუქი, მინერალური სასუქების შეტანის ნორმაა 60 60 30 კგ/ჰა-ზე.),

მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების სისტემატურად ჩატარებას, ბუჩქის ფორმირებას, მორწყვას და ა.შ. ახალგაზრდა ბაღში ნიადაგის დაკორდება პირველი სამი წელიწადი არ არის რეკომენდირებული, რადგან აერაციის შეზღუდვა ანელებს მცენარის ზრდა განვითარებას, განსაკუთრებით მცირდება ფესვთა სისტემაზე არსებულ კვირტებიდან გამონაყართა განვითარება.

თხილის ფორმირება შესაძლებელია განხორციელდეს ბუჩქის ან ერთ შტამბიანი ფორმის მიცემის მიზნით. პრაქტიკაში გავრცელებულია ბუჩქისებური სახით ფორმირება.

თხილისათვის ბუჩქის ფორმის მიცემა იწყება დარგვისთანავე. დარგული ნერგი იჭრება 20-25 სმ სიმაღლეზე, რომლებზეც ვეგეტაციის განმავლობაში წარმოიშვება ახალი ამონაყრები. დარგვიდან მეორე წელს ამოიჭრება მიწასთან გასული წლის ნერგი, დარჩება მხოლოდ გასული წლის ძლიერი ტოტები, რომლებიც არ მოკლდება. დარგვიდან მესამე-მეოთხე წელს ფესვის ყელიდან ამონაყარი ტოტები სისტემატურად-მეჩხერდება, მომდევნო წლებში სისტემატურად იჭრება სუსტი ამონაყრები, ჩახშირებული გადახლართული ტოტები იმ გათვლით, რომ ბუჩქი შედგებოდეს 7-12 კარგად განვითარებული ძლიერი ტოტებისაგან. წლების მიხედვით ბუჩქზე ტოტები ბერდება და ის უნდა შეიცვალოს ახალი ჯანსაღი ნაზარდებით. ამრიგად, ბუჩქს ყოველწლიურად უტარდება გამაახალგაზრდავებელი გასხვლა სუსტი ყლორტებისა და ამონაყრების მოცილებით.

თხილის კულტურაზე საქართველოში 100-ზე მეტი სახეობის მავნებელი დაავადებაა დაფიქსირებული. ამათგან ყველაზე მეტად გავრცელებულია შემდეგი მავნებელი: ცხვირგრძელები, ჩრჩილები, ბუგრები, სხვადასხვა სახის ფოთოლჭამიები, ხვატარები, მზომელები, აბრეშუმხვევიები, ხერხიები, ტკიპები, ფოთოლხვევიები, ხარაბუზები და ა.შ. დაავადებებიდან გავრცელებულია: ნაცარი, ყავისფერი და ნაცრისფერი სიდამპლე, ხავსები, ლიქენები, რომლებიც აკნინებენ მცენარეს და იწვევენ მათ ნაადრევ ხმობას. თხილის მავნებლებიდან განსაკუთრებით დიდი ზიანის მომტანია, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში კვირტის ტკიპა, თხილის ცხვირგრძელა, თხილის ხარაბუზა, ამერიკული თეთრი პეპელა, თხილის ბუზრი, ხოლო დაავადებებიდან თხილის ნაცარი, თხილის ნაცრისფერი და ყავისფერი სიდამპლე და სხვა. თხილის ზემოთ ჩამოთვლილი მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიება უნდა ჩატარდეს კომბინირებული მეთოდების (აგროტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, ქიმიური) კომპლექსურად გამოყენებით. ამასთან მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ქიმიური პრეპარატების გამოყენება უნდა შეწყდეს 1-1,5 თვით ადრე მოსავლის აღებამდე.

ნებისმიერ შემთხვევაში დაინტერესებულმა პირებმა მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ჩასატარებელი ქიმიური ღონისძიებების თაობაზე უნდა მიმართონ შესაბამის ორგანიზაციებს და კვალიფიციურ სპეციალისტებს რჩევის მიღების თაობაზე. სრულ მსხმოიარობაში შესვლის შემდეგ კარგად ფორმირებული ერთი თხილის ბუჩქიდან სათანადო მოვლის პირობებში საშუალოდ ერთი ძირიდან 3.5 -7.5 კგ. მოსავლის მიღებაა შესაძლებელლი. ჩვენს პირობებში თხილის მოსავლის აღება, ჯიშების მიხედვით იწყება ივლისის მეორე ნახევარში და მთავრდება სექტემბრის ბოლოს. აღებული მოსავალი თავსდება მშრალ შენობაში, სადაც მიმდინარეობს თხილის ფერმენტაცია. საბურველი აძლევს ნაჭუჭს ლამაზ მიხაკისფერ შეფერილობას, ხოლო გულს სასიამოვნო გემოს. საბურველის მოშორების შემდეგ თხილს აშრობენ მზეზე ან საშრობებში და ინახავენ მშრალ შენობაში.

### ჩვენი წინაპრები თავიანთი საქმიანობის დაწყებას ყოველთვის მთვარის ფაზებს უკავშირებდნენ – ხვნას, თესვას, სასუქის შეტანას, ხეების დარგვას. ამჯერად ინტერესმოკლებული არ იქნება ვისაუბროთ ნიადაგში სასუქის შეტანის შესახებ

# სასუქი

**მცენარეს** ზიანი რომ არ მივაყენოთ, ნიადაგს სასუქი უნდა მივაწოდოთ სავსე მთვარეობის დროს, ანდა დაღმავალი მთვარის პერიოდში.

ფოთლოვან ხეებს და ბუჩქებს, ოთახის მცენარეებს სასუქი უნდა მივაწოდოთ დაღმავალ (კლებად) მთვარის ფაზაში მიწის (კუროს, ქალწულის, თხის რქის) ან წყლის (კირჩხიბის, ღრიანკალის, თევზების) სტიქიის ნიშნებში გავლის დღეებში.

მსხმოიარე ნაყოფის ხე-მცენარეების და ბოსტნეულის შემთხვევაში კი – სავსემთვარეობის პერიოდში და დაღმავალი მთვარის ფაზაში მიწის და ცეცხლის (ვერძის, მშვილდოსნის) სტიქიის ნიშნებში გავლისას. ამ დღეებში სასუქით გამდიდრებულ ნიადაგში გაზრდილი მცენარე ძლიერ და ლამაზ ნაყოფს მოგვცემს.

მთვარის ლომის ზოდიაქოში გავლისას არ არის რეკომენდებული ნიადაგში სასუქის შეტანა, რადგან ამ დღეებში მცენარეც და მიწაც მეტად გამომშრალია. ამ პერიოდში სახიფათოა შხამ-ქიმიკატების გამოყენება, რის შედეგადაც შესაძლებელია მცენარის და ნიადაგის დაწვა.

მცენარის ფესვთა სისტემის განვითარებისთვის სასუქის გამოყენება რეკომენდებულია სავსემთვარეობისას ან დაღმავალი მთვარის ფაზაში მიწის სტიქიის ნიშნებში გავლის დღეებში.

ბუნებრივი, ქიმიური საშუალებები, ბოსტნეულისა და მარცვლოვანი კულტურების შემთხვევაში, ნიადაგს უნდა მივაწოდოთ სავსემთვარეობისას ან მთვარის დაღმავალ პერიოდში ცეცხლის სტიქიის ნიშნებში გავლის შემდეგ.

## გამოფენა-დათვალიერება

# მუნიციპალიტეტის ფერმერებმა გაიცნეს თანამედროვე ტექნოლოგიები

**ფერმერთა** დღეს, 20 ნოემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ფერმერებმა საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საგამოფენო ცენტრის „ექსპო-ჯორჯიას" მიერ მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის გამოფენაზე. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის 20-ზე მეტმა ფერმერმა. ისინი გაეცნენ სოფლის მეურნეობაში დღეს არსებულ მიღწევებს და თანამედროვე ტექნოლოგიებს.



# სტალინი — ამოუხსნელი ფენომენი

## ცოტა რამ ჯუღაშვილის შესახებ

### სტალინი და საგარეჯო



**სტალინის** სიკვდილიდან და სსრკ-ს დაშლიდან რაც უფრო მეტი დრო გადის, მისი სახელის რეაბილიტაცია უფრო გვიახლოვდება. არა მარტო საქართველოში – სტალინის სამშობლოში, არამედ თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა შორის თანდათან მისაღები ხდება მისი იდეები. ამიტომ, ჩვენი ვალია კვლავ მივუბრუნდეთ ი. სტალინის მოძღვრების შესწავლას, რომელიც საწინდარი გახდება ჩვენი თავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრების მოპოვების გზაზე.

* * *

სტალინი ქ. გორში დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს. მამამისი – ბესარიონ ივანესძე ჯუღაშვილი ეროვნებით ქართველი, იყო თბილისის გუბერნიის, თბილისის მაზრის სოფელ დიდი ლილოს გლეხი. დედა – ეკატერინე გიორგის ასული – სოფელ ღამბარეულის ყმა-გლეხის გელაძის ოჯახიდან იყო.

ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს 1894-1898 წლებში იოსებ სტალინის მეგობრები იყვნენ სემინარიის მოსწავლეები სამსონ მჭედლიშვილი საგარეჯოდან, ნიკო ბილანიშვილი – პატარძეულიდან და ნიკო ოქრომჭედლიშვილი – გიორგიწმინდიდან.

იოსებ ჯუღაშვილის მერხის მეგობარი სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს საგარეჯოელი სამსონ მჭედლიშვილი იგონებს, რომ ერთ-ერთი მორიგი შემოწმების დროს, როდესაც იოსებ ჯუღაშვილი გარეთ იყო გასული, მერხში იპოვეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", რომელიც იმ დროს ცეცხლითა და მახვილით იდევნებოდა. შემოწმების დროს ხელში შერჩათ სამსონ მჭედლიშვილი, რომელმაც არ გასცა სოსო ჯუღაშვილი, თვითონ დაიბრალა აკრძალული ლიტერატურის შენახვა, რისთვისაც კინაღამ სემინარიიდან გარიცხეს. მხოლოდ იმან უშველა, ფრიადოსანი მოსწავლე იყო და კარცერში 15 დღით პატიმრობა აკმარეს.

სამსონ მჭედლიშვილი შედარებით შეძლებული ოჯახიდან იყო და მატერიალურადაც ეხმარებოდა თავის სემინარიელ მეგობარს. ორჯერ არდადეგების დროს საგარეჯოშიც ჩამოიყვანა სოსო ჯუღაშვილი.

იოსებ ჯუღაშვილი სემინარიაში სწავლის დროს ხშირი სტუმარი იყო ასევე გარე-კახელის, სოფელ ხაშმის მკვიდრის იოსებ იმედაშვილის, რომელიც მთაწმინდის პლატოს დასაწყისში ცხოვრობდა და მასთან ხშირად იკრიბებოდნენ რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდები.

როცა იოსებ ჯუღაშვილი თავისი სემინარიელი ამხანაგების მიწვევით სტუმრად ჩადიოდა გარე-კახეთში – საგარეჯოში, პატარძეულსა და გიორგიწმინდაში, აღფრთოვანებული იყო იქაური ხალხის ფოლკლორით, გარე-კახელ საზოგადო მოღვაწეთა განსწავლულობით, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური ტრადიციებით.

***

**ადამიანთა** საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როდესაც დიქტატორული ხელისუფლება სახელმწიფოში მცხოვრებ მოსახლეობის დიდ (უღარიბეს) ნაწილს უსპობს სულიერი და მატერიალური ცხოვრების ელემენტარულ პირობებს, საზოგადოების ჩაგრულ მასებში წარმოიშვება წინააღმდეგობის, პროტესტის მძლავრი მუხტი, რომელიც ისწრაფვის საძულველი პოლიტიკური რეჟიმის ნგრევისათვის იმდენად დიდია რევოლუციონერთა უმრავლესობაში სურვილი ძველის ნგრევისა, რომ არც კი აქვთ წარმოდგენა, რა მოჰყვება ძველის ნგრევას.

* * *

იოსებ სტალინმა მეოთხე კლასი ერთადერთი „ოთხიანით" დაამთავრა, დანარჩენი „სამიანებით" ი. სტალინმა სწავლას მოუკლო, სამაგიეროდ თვითგანვითარებით „ერუდიტად" იქცა.

1898 წელს ინსპექტორმა აბაშიძემ მისი გარიცხვის წინადადებით მიმართა სემინარიის რექტორატს. რექტორატმა მხარი არ დაუჭირა – ძალიან ნიჭიერი იყო ჭაბუკი, ეგებ ჭკუას მოეგოსო. მაგრამ იოსები გამოსწორებაზე არ ფიქრობდა, არც სემინარიის დამთავრებას აპირებდა და ამიტომ არც V კლასის გამოცდების ჩაბარებას არ აპირებდა. 1899 წლის ზაფხულში იგი გარიცხეს სასულიერო სემინარიიდან.

გავიდა 1899 წლის ზაფხული და დღის წესრიგში დადგა სად იცხოვრებდა. რით უნდა ერჩინა თავი? აქ მშველელად და მხსნელად ლადო კეცხოველი მოევლინა, რომელიც თბილისის ფიზიკის ობსერვატორიაში მუშაობდა და იქვე ცხოვრობდა.

ლადომ სოსო ოთახში ჩაისახლა და სამუშაოც იქვე უშოვა ობსერვატორიის დამკვირვებლად. სტალინი აგრძელებს რევოლუციურ წრეებში მუშაობას. ლადო კეცხოველთან ერთად ი. სტალინი აქტიურ მუშაობას ეწევა მუშებთან და 1900 წლის 1 იანვარს აწყობს თბილისის „კონკის" მუშების გაფიცვას. ლადოს პოლიცია დაეძებდა დასაპატიმრებლად, რის გამოც ლადო კეცხოველი ბაქოში აფარებს თავს. გაფიცვები ერთხანს შეფერხდა, მაგრამ ახალი ძალით გაჩაღდა 1900 წლის ზაფხულის თვეებში. ზედიზედ გაიფიცნენ ივლისის თვეში საფაროვის თამბაქოს ფაბრიკის მუშები, ივლისის ბოლოს – ბოზარჯიანის ფაბრიკის მუშები. ამას მოჰყვა აგვისტოში იარალოვის ქარხნის და კიდევ ერთი თამბაქოს ქარხნის მუშების გაფიცვა, ადელხანოვის ქარხნის მუშების გაფიცვა.

1 აგვისტოდან გაიფიცნენ თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მუშები, სადაც ბევრი მუშაობდა სოსოს გარდა კახელი მუშები, მათ შორის მისი მეგობრები – ზაქარია ვარსიმაშვილი და გოგლია თარიმანიშვილი, რევოლუციურ ფურცლებზე ბეჭდავდნენ და ავრცელებდნენ კიდეც. არალეგალური სტამბაც მოაწყეს. მუშათა გამოსვლების გააქტიურებას მოჰყვა პოლიციის გააქტიურებაც. დაიწყო ბინების ჩხრეკა. 1901 წელს იოსები მართალია დაპატიმრებას გადაურჩა, მაგრამ მისი ბინის ჩხრეკის დროს არალეგალური ლიტერატურა აღმოაჩინეს, რის გამოც იოსებ სტალინი იძულებული გახდა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო. იგი ერთხანს საგარეჯოელი რევოლუციონერების მუშა ზაქარია ვარსიმაშვილისა და გოგლია თარიმანიშვილის დახმარებით გადაურჩა დაპატიმრებას. ცხოვრობდა საგარეჯოში, მარიამჯვარსა და ანთოკში, საიდანაც პროპაგანდას ეწეოდა. 1901 წლის ნოემბერში სტალინი რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრად აირჩიეს.

*ალ. ელერდაშვილი*



---

დავით ივანიშვილი

## „ლექსები – მარადისობის საკენკი"



***

**ამ** ქვეყანაზე უთვალავი
თვალთ მაცდურია,
გარს მშვენიერი, წარმტაცი და
მომხიბვლელია.
ბევრი ყვავილი, ყვავილობას
ვარდზე მეტია,
დაჰყნოსავ – სუნთქვას გაგიმწარებს,
ცრემლის მდენია.
ცხოვრების გზაზე უამრავი გემო
გვრგებია,
ხანაც კარგი და ხანაც ცუდი
შეგვიწევნია,
რაც მთავარია ყველამ ვიცით და
მაინც ვცდებით,
რომ სილამაზე ხორციელი მოჩვენებაა.
რადგან თვალია მსხვერპლად რომ
სწირავს გულს, ძლიერ ვნებას.
ძლიერი ვნება კი სულისათვის
მუდამ მტერია,
ისევ იარა ამჯობინა ბედკრულმა გულმა
....და შეიყვარა კვაზიმოდო
გარდაცვლილ სულმა.

***

თავს დაგვყურებენ ბუმბერაზი მთები
ხევსურის,
მიჯნურნი "ცისა" ქალისა,
მჩქეფარე ნაკადულებით, ნისლმორეული
თვალისა,
ხის, ცვენა ოქროს ფოთოლთა,
სურნელი დეკა – ღვიისა,
თანა სდევს "ცისა" ქალა – მზეს,
სულთ მოფენილსა წმინდისა.
თავს დაგვყურებენ ბუმბერაზი მთები
ხევსურის,
ნანატრი "ცისა" ქალისა,
ზოგისთვის მიუწვდომელი,
ზოგისთვის ცამდე მტკავლისა...

### „მუზა"

მღელვარე გულში ისევ ჩქროლავს
მდუღარე სისხლი,
არც ღამე მძინავს და არც დღისით
მშვიდად დავდივარ,
როგორც ფრინველი ჰაერში
ფრენით გულს მოიოხებს,
ჩემთვის ცად ფრენა, ეს ხომ
ჩემი ხელოვნებაა.
თეთრ რაშზე ვზივარ
მწვერვალისკენ ავიღე გეზი,
თუმც მყინვარია, ძალზე რთულია
მისი დალაშქვრა,
მაგრამ ყოველი საფეხური ჩემთვის
კიბეა,
კიბე, რომელიც მაახლოებს ცის
კამარასთან.
არც ღამე მძინავს და არც დღისით
მშვიდად დავდივარ,
როცა ვგრძნობ გულში მუზა
ჩანჩქერად როგორ იღვრება,
ბოლომდე ავსებს კალაპოტს და
ლამის გადმოდის,
ჩაფებით ვაკლებ, მაგრამ ზღვა
კოვზით როდი ილევა.
ან მართლა ზღვაა, რადგან გული
მალე ივსება,
ან ზღვის წვეთია, მაგრამ გული
ზომით მცირეა,
ნუ დამიშრები, სანამ ვიმღერ ოქროს
სიმღერას,
ჯერ ეს შორსაა, მე მაგდენი არ
მიმღერია.
არ შევჩერდები მწვერვალისკენ
ავიღე გეზი,
წინ შორი გზაა, გზად საგზალი
გამომიჩნდება,
რამდენ კლდეს და რამდენ ავდარს
გადავეყრები,
მე მაინც მივალ, თუ მუზის წყარო
არ დამიშრება...

---

დარეჯან ჯელაძე

## გაფრთხილება

პოეტი ხარ? უიღბლო ხარ, ფრთხილად იყავ...
ბოროტი ბრბო ვერ აგიტანს...
იცი რამდენი მტერი გყავს...
ვინ დაგაცლის სიმართლის თქმას,
რისკი გიყვარს,
მაგრამ თუ არ გაგიმართლა, სად მიდიხარ;
ერთი მიკვირს, როგორ უძლებ ამდენ
გრიგალს...
ან ამ შეშლილ ქვეყანაზე რომ დადიხარ
უჩინადი მაინც იყო, ხილვადი ხარ...
მინდობილი ბავშვივით მიამიტი ხარ...
ვისთვის მზე ხარ, იმედი ხარ, ვისთვის
მთვარე ლილატი ხარ...
ხელის გულის მარგალიტი, სხვა განედის
სხვა ჩიტი ხარ...
უფლისთვის წმინდა ხატი ხარ, ცრუ
სოფლისთვის ჩირად ღირხარ.
ოქრო ხარ, ბრილიანტი ხარ, მაგრამ
მაინც პრიმატისთვის პრიმატი ხარ.
თუ ზეცასთან კავშირში ხარ, მით უმეტეს
მარჩბივი ხარ,
უნდა მიხვდე აქ სადა ხარ, ამდენს მაინც
რას ჩივიხარ;
სიტყვის საზღვარს ნუ გადახვალ,
გადახვალ და დასჯილი ხარ!
წუთისოფელი ჭრელია, ამ ხროვის
არ გეშინია?!

## რა დიადი ხარ!

მარადისობის მადლით ავსილი
უბრწყინვალესი სხივით ნაქარგი,
მაღალი რანგის, ძალმოსილების,
სიდიადით ხარ შემოსილი,
რა დიადი ხარ , მზეო, რა კარგი, შენი
მაგიის ტკბილი ბადაგით,
ვარ შელოცვილი, ვარ გულითადი,
მეხოტბე შენი, შენზე მლოცველი!

* * *

რა დიადი ხარ, შენ მზეო, ელვარებ
ოქროს ფერზეო,
დიდი მადლია შენზეო, ვიდრე სხვა
პლანეტებზეო
სხვა არც ვინ არი სამზერი,
ვინ გაგისწორებს თვალს მზეო,
მთვარე და მთვარის ვეზირი
შემოგევლება თავზეო.
მე ძალა არ მაქვს თავს ზევით,
შენ ტახტს დგავ ცის კიდეზეო,
წყაროდამშრალი თევზივით ვაგდივარ
ამ რიყეზეო,
დავიდარაბით დაღლილი, რავი,
დავდგები ფეხზეო?
გესმის კი ჩემი ძახილი... ვარსებობ
ვის იმედზეო.
არ ვარ ჯოგის და ნახირის, პარნასის
ვარდი ვთესეო.
სიცრუის მკვეთი მახვილი ერთხელაც
ამილესეო.
მთელი სიცოცხლე მიყვარდი, შორიდან
გეალერსეო.
ასე რის გამო გაცხარდი, ცეცხლს
რისთვის მაყრი მკერდზეო,
ქრისტეს მეომარ ამორძალს, ეს ჭირი
რად მომკერძეო,
ვარდებს გაახმობ, გულს დამწვავ,
რაღა ვთქვა სიკეთეზეო.
ნუ გაახარებ სატანას –
ეგ გადავარდა კლდეზეო,
ამ უსამართლო ქვეყანას, მთლად ნუ
დაიყვან ფსკერზეო.
მკლავს ერის გასხვარჯულება,
ამაზეც გავჩუმდე მზეო?
რა ძნელი მქონდა ბავშვობა,
უმოწყალო და უმზეო,
ხომ დამაბრალეს გიჟობაც და ხომ
გამაპეს გულზეო.
მაინც დავლოცე სოფელი, მტირალმა
მძიმე ბედზეო,
დავწერე საგალობელი, სავედრებელი
ღმერთზეო,
რაც კარგი რამ მომაგონდა –
მზე, მთვარე, ვარსკვლავებზეო,
იცოცხლოს ივერთა მოდგმამ,
ილოცოს ღვთის სახელზეო!

გარეჯის მაცნე
№23(109) 2015 წელი, 1-15 დეკემბერი

# სახელმწიფო მმართველობა

# რომელი ფორმა იქნება მისაღები?!

**დღეს ბევრს ლაპარაკობენ სახელმწიფო მმართველობის ფორმებზე, პოლიტიკოსები საქართველოსთვის მისაღებ სახელმწიფო მმართველობის ფორმებსაც გვთავაზობენ შეპარვითა თუ თვალნათლივ...**

მონარქია – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება მთლიანად ან ნაწილობრივ (რეალურად ან ფორმალურად) სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს – მონარქს (ხელმწიფეს, მეფეს, იმპერატორს, შაჰს, სულთანს და ა.შ.) ეკუთვნის. მონარქიულ მმართველობას იგი მემკვიდრეობით იღებს და მემკვიდრეს გადასცემს. განასხვავებენ აბსოლუტურ, შეუზღუდავ და კონსტიტუციურ, პარლამენტარულ მონარქიებს, როდესაც მონარქის ძალაუფლება შეზღუდულია პარლამენტით ან სხვა სახით. პირველის მაგალითებად ჩაითვლება მონათმფლობელური და ფეოდალური მონარქიები. დღეს აბსოლუტური მონარქიები თითზე ჩამოსათვლელია (საუდის არაბეთი, კატარი, ომანი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები და სხვა). რაც შეეხება კონსტიტუციურ მონარქიებს, ისინი მრავლადაა (დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, შვეცია, ნორვეგია, ბელგია, დანია და სხვა), მათი რაოდენობა ოთხ ათეულს აღწევს. სხვა საკითხია, რომ განვითარებულ ქვეყნებში მონარქების ხელისუფლებას უფრო სიმბოლური, ფორმალური ხასიათი აქვს და ისინი წარმომადგენლობით, ცერემონიალურ ფუნქციას ინარჩუნებენ. ზოგ შემთხვევაში ესაა თეოკრატიული სახელმწიფოები, როდესაც სახელმწიფოს მეთაური ერთდროულად რელიგიური მეთაურიცაა (ომანი, კატარი და სხვა).

კონსტიტუციური მონარქია

**ეს** არის მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც მონარქი წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურს. მისი ხელსუფლება, როგორც წესი, უვადოა და გადაეცემა მემკვიდრეობით. თანამედროვე მსოფლიოში არსებობს მონარქის ორი ისტორიული ტიპი: აბსოლუტური და კონსტიტუციური. თავის მხრივ კონსტიტუციურ მონარქიაში, მონარქის ხელისუფლების შეზღუდვის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ დუალისტურ (მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია კონსტიტუციით, მაგრამ მონარქი, დემოკრატიული ინსტიტუტების შეზღუდვის შედეგად, ინარჩუნებს რეალურ სახელისუფლებო ბერკეტებს. მთავრობა ფორმალურად პასუხისმგებელია მონარქისა და პარლამენტის წინაშე, თუმცალა რეალურად მონარქს ემორჩილება. გავრცელებულია მაროკოში, იორდანიაში, ტაილანდში, ნეპალსა და მალაიზიაში და საპარლამენტო ფორმას (მონარქის ხელისუფლება ატარებს მხოლოდ ნომინალურ ხასიათს, მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე). ამასთან, არსებობს არჩევითი ფორმაც, მაგ. მალაიზიაში), რომელშიც ფაქტობრივად შერწყმულია მმართველობის მონარქიული და რესპუბლიკური ფორმები (მონარქის არჩევა ხდება 5 წლის ვადით, ფედერაციაში შემავალი მონარქიული შტატების წარმომადგენელთა განსაკუთრებულ სხდომაზე).

**მონარქია**, ანუ მეფის მმართველობა ეწოდება მმართველობის ფორმას, როდესაც სუვერენს შეუძლია მთელი მმართველობა მოაქციოს ერთი მაგისტრატის ხელში, ვისგანაც მთელი თავისი ძალაუფლება სხვა მაგისტრატებს მიეცემა.

სიტყვა მონარქია ბერძნული წარმოშობისაა („მონოს“ – ერთი და „არხეს“ –- ხელისუფლება) და ნიშნავს ერთხელისუფლებიანობას, ერთი პირის ხელისუფლებას, მაგრამ ცნობილია გამონაკლისებიც. მაგალითად, სპარტაში ორი მეფე არსებობდა.

მონარქია მმართველობის ისეთი ნაირსახეობაა, როდესაც სახელმწიფოს სათავეში დგას პირი (მონარქი), რომელიც თავის ხელისუფლებას განახორციელებს მემკვიდრეობის საფუძველზე. მონარქის ხელისუფლება უვადო და სამუდამოა. მონარქი განთავისუფლებულია როგორც პოლიტიკური, ისე იურიდიული პასუხისმგებლობისაგან მისი მმართველობის შედეგებისათვის. იგი მიჩნეულია ღმერთის წარგზავნილად და მისგან კურთხეულად, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მონარქის უფლებამოსილება ყოველთვის ბუნებრივი სიკვდილით წყდებოდა. ისტორიისათვის ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც

*დასასრული მე-7 გვერდზე*

# სართიჭალა

ისტორია



**ჩვენი** რაიონის სოფლები თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობის გარდა, ახლო კავშირში იყვნენ – ზოგიერთ შემთხვევაში ერთ ადმინისტრაციულ ერთეულშიც კი მოიაზრებოდნენ. ცოტამ თუ იცის, რომ ჩვენი მეზობელი, გარეკახეთის კარიბჭე – სართიჭალა საგარეჯოს რაიონულ დაქვემდებარებაში ათეული წლები ითვლებოდა გასული საუკუნის 60-იან წლებამდე, მაგრამ... ინტერესმოკლებული არ იქნება ვიცოდეთ იმ სოფლის ისტორიული წარსულიც, რომლითაც ჩვენ დედაქალაქს და ჩვენს მუნიციპალიტეტში შემავალ ტერიტორიულ ერთეულებს ვუკავშირდებით. მერწმუნეთ, ერთობ საინტერესოა ჩვენი მეზობელი სოფლის ისტორია, რომელთანაც ჩვენც და კახეთის სხვა სოფლებიც საერთო წარსულით ვართ დაკავშირებული...

**გარე-კახეთის** უდიდესი სოფელი სართიჭალა სამგორის ველის ბოლოს, თბილისი-კახეთის საავტომობილო გზატკეცილის დასაწყისში, მდინარე ივრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს და მოსახლეობის რაოდენობით საქართველოში პირველია. ამ ქალაქის ტიპის დიდ სოფელს თავისი სახელოვანი ისტორია აქვს, რომლის ფესვები მრავალი ათასეული წლებიდან მომდინარეობს.

სოფლის კანონიერი სახელი სართიჭალაა, რაც მომდინარეობს იქიდან, რომ მდინარე ივრის ორივე სანაპიროზე მრავლად მოიპოვებოდა ძვირფასი ქვა – სათი, რომელიც ძველთაგანვე წარმოადგენდა საიუველირო ნაწარმის (ბეჭდების და გულსაკიდების) შემამკობელ კომპონენტს.

XIX საუკუნის დასაწყისამდე ეს ისტორიული სოფელი სათისჭალის სახელს ატარებდა, მაგრამ რაღაც გაურკვეველი მიზეზით სოფელს სახელი შეეცვალა და სართიჭალა ეწოდა.

სართიჭალას უდიდესი და სახელოვანი ისტორია აქვს. ეს სოფელი არაერთხელ აღგვილა მიწისაგან პირისა. სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა, მდინარე ივრის წყლის სიახლოვე, ნაყოფიერი შავმიწა ნიადაგები, ზომიერი ჰავა, მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზის სიახლოვე, სოფელს უდიდეს სავაჭრო-სატრანზიტო მნიშვნელობას აძლევდა, რაც საუკეთესოდ აქვს დაფიქსირებული ძველი წ. აღრიცხვის I საუკუნის II ნახევრის ცნობილ ბერძენ გეოგრაფ სტრაბონს. მართალია, ბერძენი მოგზაური სტრაბონი კონკრეტულად არ ასახელებს გარეკახეთის სოფლებს, მაგრამ მისი სიტყვებით, იბერიის დედაქალაქ მცხეთიდან ალბანეთში გადასასვლელი გზა მისი ანონიმური აღწერით ჭეშმარიტად ივრის ხეობას და გარეჯის ნახევრადუდაბნოსა და ხრიოკ გარემოზე მოდიოდა ალბანეთში გადასასვლელად. მოგზაურის აღწერით, იბერია (მაშინდელი საქართველო) ძლიერი და მდიდარი, მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა ყოფილა. მას გზად მრავლად ხვდებოდა კეთილმოწყობილი დაბა-სოფლები, მაღალი არქიტექტურული გემოვნებით აშენებული და წითელი კრამიტით გადახურული სახლები, რომლის აივნებიდან მოგზაურს მოღიმარი სახეებით, სიცილ-კისკისითა და სიმღერებით ხვდებოდა ადგილობრივი ხალხი. გზის ორივე მხარეს ბაღვენახები და ლამაზ ლანდშაფტში ჩასმული, სარწყავი ქსელით დაქსელილი მინდვრები გასდევდა.

ვინ იცის სტრაბონის აღწერის შემდეგ რამდენ დამპყრობს აუოხრებია და იავარუქმნია ეს მითიურ ედემად ქცეული მხარე. სართიჭალას უგემნია სპარსელთა, რომაელთა, თურქ-სელჩუკთა, მონღოლთა, თურქ-ოსმალთა, დაღესტნელ აბრაგთა მსახვრალი ხელი.

სართიჭალამ მრავალ დამპყრობელს გაუძლო და XIX საუკუნის დასაწყისში თითქმის ნასოფლარად ქცეულმა მიაღწია.

როგორც ცნობილია, საქართველოში XVIII საუკუნის 70-იან წლებში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის მოწვევით საქართველოში იმოგზაურა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიულდენშტედტმა, რომელიც თბილისიდან მეფე ერეკლე II-სთან ერთად 1771 წლის 21 თებერვალს ათასკაციანი ამალით კახეთისკენ გამოემგზავრა. გიულდენშტედტი დაწვრილებით აღწერს მოგზაურობის მარშრუტს. თბილისიდან (ნავთლუხიდან) გამომგზავრებულს მას ისე გადმოულახავს მდინარე იორი, რომ გზად არც ერთი დასახლებული პუნქტი არ შეხვედრია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სართიჭალაც და ხაშმიც უკაცრიელი, დაუსახლებელი ყოფილა.

სართიჭალა ნასოფლარი ჩანს, ხოლო მისი მეზობელი მუღანლოს ადგილას მხოლოდ ტრიალი მინდორი ყოფილა. რაც შეეხება ხაშმსა და უჯარმას, ამ სოფლებში მხოლოდ აქა-იქ ბინადრობდა თითო-ოროლა ბოგანო –ქართლიდან და იმერეთიდან გადმოსახლებული უსახლკარო ლტოლვილი.

ივრისპირეთის ინტენსიური დასახლება იწყება მას შემდეგ, რაც რუსეთმა 1801 წელს შეიერთა ქართლ-კახეთი.

ნასოფლარ სართიჭალამ და გზამ კახეთისაკენ გომბორამდე დიდი სტრატეგიული მდგომარეობა შეიძინა, მას შემდეგ რაც რუსეთმა თავისი სამხედრო შენაერთების დისლოცირებისათვის და კახეთისაკენ მიმავალი სამხედრო-სტრატეგიული გზის დაცვისათვის თავისი სამხედრო შენაერთები შეიყვანა.

სართიჭალის სწრაფი დასახლება დაიწყო მას შემდეგ, რაც რუსეთის კოლონიურმა ადმინისტრაციამ მდინარე ივრის მარჯვენა სანაპიროზე დააარსა საფოსტო-სატრანსპორტო პუნქტი, საიდანაც ერთი გზა მდინარე ივრის მარჯვენა სანაპიროდან გადიოდა „ბალბიან-აზამბურის“ ნასოფლარებისა და „დამპალა“-ბადიაურის გავლით კახეთისაკენ, ხოლო მეორე გზა უჯარმა-გომბორის გავლით შიგნით კახეთისაკენ და ერწო-თიანეთისკენ სასადილო-ბოჭორმის გავლით.

მას შემდეგ (1829 წლიდან), რაც ახალი ადმინისტრაციული დარაიონებით მთელი გარე კახეთი ჩაილურის ხევამდე დაექვემდებარა თბილისის მაზრას, სართიჭალა გადაიქცა თბილისის მაზრის რიგით მეოთხე საბოქაულოდ, რომელშიც შედიოდა მთელი გარე-კახეთი 33 სოფლით. ეს დარაიონება გაგრძელდა 1928 წლამდე და მთელი გარე-კახეთის ცენტრი იყო სოფელი სართიჭალა, რამაც სართიჭალის მოსახლეობა და მისი კულტურულ-სამეურნეო პოტენციალი საგრძნობლად გაზარდა. სართიჭალამ ახალი კულტურულ-სამეურნეო პოტენციალი შეიძინა მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის I ნახევარში აქ რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ჩამოასახლა გერმანელი კოლონისტები, რომლებიც დაასახლეს სამ უბნად. პირველი კოლონისტები გერმანიის ვიუტერბერგის პროვინციიდან ჩამოვიდნენ 1817 წელს და დასახლდნენ სართიჭალისა და მუღანლოს საზღვარზე. ამ ახალ დასახლებას ეწოდა მარიენფელდი. ეს ჯგუფი 31 ოჯახისგან შედგებოდა. სართიჭალაში გერმანელი კოლონისტების სხვა ჯგუფებიც მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ მუღანლოს ტერიტორია ეკუთვნოდა თავად გარსევან ჭავჭავაძეს, რომელსაც სანაცვლოდ რუსეთის ხელისუფლებამ კახეთში (ურიათუბანში) მოუცვალა მიწა და მეორე უბანიც გაჩნდა კოლონისტებისა და ეწოდა პეტერსგოფი (რუსეთის მეფე პეტრე I-ის პატივსაცემად), სადაც ჩასახლდა 17 ოჯახი.

შეიძლება გაზეთის მკითხველს გაუჩნდეს კითხვა. სართიჭალის მახლობლად საიდან გაჩნდა თურქი (აზერბაიჯანელი) მოსახლეობა? რუსეთის არმიის მაღალჩინოსანმა ოფიცერმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ XIX საუკუნის დასაწყისში (ალექსანდრე ჭავჭავაძე შვილი იყო გარსევან ჭავჭავაძის) ირანის აზერბაიჯანიდან თავის მამულში სართიჭალის მეზობლად ჩამოასახლა 18 თურქი (თათარი) ოჯახი, რომლებიც გამრავლდნენ და დღეისათვის სართიჭალის მუღანლო (ირანი რელიგიურად შიიტურ მიმდინარეობას ეკუთვნის) გარე-კახეთის ერთ-ერთი უდიდესი სოფელია, რომელთაც უკვე „წალმიანის“ მინდვრამდე მიაღწიეს და უჯარმას დაუმეზობლდნენ.

სართიჭალაში მალე გერმანელ კოლონისტთა კიდევ ერთი, რიგით მესამე უბანიც გაჩნდა ფერეიდანტალის სახელწოდებით, სადაც 20 ოჯახი განლაგდა. მომდევნო წლებში გერმანელ კოლონისტებს კიდევ მიემატა რამდენიმე ოჯახი.

გერმანელი კოლონისტები თბილისში და ქართლის სხვადასხვა რეგიონებშიც ჩასახლდნენ და მათ კეთილნაყოფიერი კვალი დატოვეს. ისინი მართლმადიდებლები იყვნენ და გეგმაში ჰქონდათ თბილისის ირგვლივ ქალაქის ტიპის დასახლებები შეექმნათ. მათ საქართველოში ჩამოსახლების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთის არმიის სახელოვან მხედართმთავარს, ბოროდინოს ბრძოლის გმირს პეტრე ბაგრატიონს. გერმანელმა კოლონისტებმა საქართველოში 120 წელზე მეტი იცხოვრეს, მაგრამ ისინი მოულოდნელად იძულებით გადაასახლეს შორეულ ყაზახეთში 1942 წელს. მე, ამ სტრიქონების ავტორს კარგად მახსოვს სართიჭალაში მათი ყოფნა და გული დამწყდა მათი საქართველოდან გადასახლების გამო. სართიჭალაში მათ საკუთარი კოლმეურნეობა ჰქონდათ, რომელიც გერმანელი კომუნისტების ბელად ტელმანის სახელს ატარებდა და ერთ-ერთი პირველი მილიონერი კოლმეურნეობა იყო საგარეჯოს რაიონში.

1928 წლამდე გარე-კახეთის ადმინისტრაციული ცენტრი სართიჭალა იყო. კარგად მახსოვს 1937 წლამდე მდინარე იორზე ხიდი არ იყო და როცა სართიჭალაში მივდიოდით, მდინარე იორს ფეხით გადავლახავდით ხოლმე. ჩემს ხსოვნაში 3 პატარძეულელი დაახრჩო იორმა. მდინარე ივრის ხიდის მშენებლობაზე დიდი შრომა გასწიეს გერმანელმა კოლონისტებმა. მათ მიერ აშენებული სკოლა და კულტურის სახლი ახლაც ისევ დგას სართიჭალაში.

სართიჭალა 1962 წლამდე საგარეჯოს რაიონის შემადგენლობაში შედიოდა და მისმა ჩამოცილებამ და გარდაბნისათვის გადაცემამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია როგორც საგარეჯოს სოფლების, ისე თვითონ სართიჭალის მოსახლეობაში. მრავალი საპროტესტო წერილი დაიწერა ზემდგომ ორგანოებში, მათ შორის ჩემი ხელითაც. ჩემთან ჩამოდიოდნენ სართიჭალიდან ინტელიგენციის წარმომადგენლები და ჩემგან იღებდნენ დასაბუთებულ ინფორმაციებს სართიჭალის ისტორიულ წარსულზე, მაგრამ ამაოდ. სართიჭალას ჰყავდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთა შორის გამოვყოფდი გულმხურვალე პატრიოტ ქალბატონს, სართიჭალის №1 საშუალო სკოლის დირექტორს სონია გენგაშვილს, რომელიც 10 წელზე მეტი შეუპოვრად იბრძოდა სართიჭალის დასაბრუნებლად საგარეჯოს რაიონში, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ მისი ოცნება ოცნებად დარჩა.

სართიჭალის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო გასული საუკუნის 50-იან წლებში, როცა დაიწყო ზემო და ქვემო სამგორის სარწყავის სისტემების მშენებლობა.. სართიჭალა უჯარმასთან ერთად გადაიქცა ამ უდიდესი საუკუნის მშენებლობის ეპიცენტრად. ჯერ 1942 წელს გერმანელთა გადასახლების შემდეგ მათ მიტოვებულ სახლ-კარში ჩამოასახლეს ზემო იმერეთის მთაგორიანი რაიონებიდან – ხარაგაულიდან და ჭიათურიდან იმერლები, ხოლო 50-იან წლებში მათ მიემატნენ ერწო-თიანეთიდან ფშავლები და ხევსურები, რომლებიც აასახლეს, სართიჭალაში ჩამოასახლეს სიონის, კუპრიაანთკარის, ჯიღოს, პანტიანისა და სხვა სოფლების მოსახლეობა, რომელთაც სართიჭალაში, სამგორის ველზე, თბილისი-კახეთის საავტომობილო გზის ორივე მხარეს კეთილმოწყობილი კოტეჯები აუშენეს.

მოსახლეობის მიგრაციამ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ადგილობრივ ხელისუფლებას მრავალი თავსატეხი გაუჩინა, მაგრამ სიძნელეები დაძლეულ იქნა და სართიჭალა გადაიქცა თბილისის საგარეუბნო დაბად, ხოლო სამგორის სარწყავი არხის აშენებამ იგი ერთ-ერთ მძლავრ სასოფლო-სამეურნეო რეგიონად აქცია.

სართიჭალის მომავალზე, მის დაწინაურებაზე დიდი როლი მისმა სტრატეგიულმა მდებარეობამ იქონია. სართიჭალა თბილისიდან სულ რაღაც 30 კმ-ით არის დაშორებული, ამიტომ აქ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში აშენდა უდიდესი საკავშირო მნიშვნელობის რადიოსადგური. აქვე, ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წლებში აშენდა სახედრო საწვრთნელი აეროდრომი და სამხედრო ბაზა, რომელიც 60-70-იან წლებში საბჭოთა კოსმონავტების საწვრთნელ ბაზად გადაიქცა. ბევრმა არც კი იცის, რომ სსრკ ყველა კოსმონავტი კოსმოსში გაფრენის წინ გადიოდა წვრთნას და უმრავლესობისათვის მათი მასპინძლები სუფრაზე იყვნენ სართიჭალელი ძმები სიბოშვილები. მაგალითად კოსმონავტ შატალოვს მათ აჩვენეს და გააცნეს ჩურჩხელის მომზადების მთელი „ტექნოლოგია“, რომელსაც შატალოვმა „ნიგვზის ძეხვი“ უწოდა. კოსმონავტებმა თავის მხრივ მასპინძლებს მადლობა იმით გადაუხადეს, რომ კოსმოსიდან სართიჭალის მიდამოებში, დავით გარეჯის მახლობლად უძველესი ნაქალაქარი აღმოაჩინეს და დედამიწასთან კავშირის ერთ-ერთ ხაზს „ზურაბ II“ უწოდეს.

მას შემდეგ, რაც სართიჭალა უსამართლოდ მოსწყვიტეს საგარეჯოს რაიონს და გარდაბნის რაიონს შეუერთეს, თითქმის 53 წელი გავიდა და რა სამწუხაროა ჩვენთვის, უფროსი თაობის საგარეჯოელებისათვის, რომ აღარაფერი გვაკავშირებს სართიჭალასთან, გარდა გულთბილი და ტკბილი მოგონებებისა, ხოლო ახალი თაობის საგარეჯოელებს სართიჭალა „უცხო სახელმწიფოს“ ნაწილი ჰგონია.

სართიჭალას უდიდესი სამომავლო პერსპექტივა აქვს. აქ გასულ წელს აშენდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო, სადაც დასაქმდა რამდენიმე ასეული ახალგაზრდა, მათ შორის მეზობელი ხაშმისა და პატარძეულიდან. დღევანდელი საქართველოს დემოკრატიულ ხელისუფლებას მრავალი მიზანდასახულობა აქვს სამგორის ნაყოფიერი ველის და მათ შორის სართიჭალის კულტურულ-ეკონომიკური აღორძინების ხაზით, რათა თბილისის შემოგარენი გადაიქცეს სანიმუშო ზონად.

*ალექსანდრე ელერდაშვილი,*
***მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სწავლული ისტორიკოსი, მწიგნობარი.***



# როგორ ვემზადებით?! 2016 წელს ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებია

**მალე კარს მოგვადგება საპარლამენტო არჩევნები. მარათონები, რომელიც წინ უძღვის ამ კამპანიას, ერთობ უარყოფითად მოქმედებს ხმის მიცემის უფლებისმქონე ადამიანებზე. რატომ?! ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ვიცით არჩევნების შესახებ ამომრჩევლებმა, ამიტომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე შევეცდებით შეძლებისდაგვარად მოგაწოდოთ ინფორმაცია სწორედ ამომრჩევლის და ჩვენგან ასარჩევი პიროვნებების იმ უფლებებზე, რომელთა განხორციელებასაც ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია და კანონმდებლობა ითვალისწინებს. მაშ ასე, დღეს საუბარი გვექნება პარლამენტის წევრის უფლება-მოვალეობაზე, რომელზედაც *იურისტი, პარლამენტის წევრის საგარეჯოს ბიუროს ახლადდანიშნული უფროსი* <u>კახა ხვთისავრიშვილი</u> გვესაუბრება.**

**როდესაც** რომელიმე ქალაქში, სოფელსა თუ დაბაში წარმოიქნება ყოფითი პრობლემები, მოხდება სტიქიური უბედურება, დაზიანდება გზა და ა.შ მოსახლეობა ხშირად სვამს კითხვას თუ სად არის მისი „მაჟორიტარი.“

აღნიშნულ შეკითხვას აქვს გარკვეული საფუძველი, რადგან საზოგადოებას გააჩნია მაღალი მოლოდინი, რომ მათ საარჩევნო ოლქში არჩეული მაჟორიტარი დააგებს გზებს, ააშენებს წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემებს, გაიყვანს სარწყავ არხებს, შექმნის სამუშაო ადგილებს, გაზდის პენსიას და საბოლოო ჯამში – უზრუნველყოფს იმ საარჩევნო ოლქის (ქალაქის/ სოფლის) კეთილდღეობას, რომლიდანაც არჩეული იქნა საქართველოს პარლამენტში.

მაჟორიტარული წესით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრს გააჩნია საკმაოდ ფართო უფლებამოსილება დაიცვას მოსახლეობის ინტერესები, რადგან თავისი საქმიანობის დროს წარმოადგენს ხალხს, თუმცა ეს უფლებამოსილება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს მაჟორიტარი პარლამენტის წევრი უშუალოდ, პირადად გასცემს დახმარებას სოციალურად დაუცველი მოქალაქეთათვის, აგებს გზებს, უზრუნველყოფს დასაქმებას, აგვარებს ყოფით პრობლემებს და ა.შ.

მაჟორიტარი პარლამენტის წევრის საქმიანობის სპეციფიკას და მის უფლებამოსილებას განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია და პარლამენტის რეგლამენტი. საქართველოს კონსტიტუციის თანახამად, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. ხალხის, განსახილველ შემთხვევაში, საგარეჯოს მოსახლეობის ძალაუფლების განხორციელების კონკრეტულ შემთხვევას წარმოადგენს საგარეჯოში მაჟორიტარული წესით პარლამენტის წევრის ქალბატონი თამარ ხიდაშელის არჩევა.

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციის განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მინდა განვიმარტოთ, პარლამენტის წევრი შეიძლება არჩეული იქნეს, როგორც პროპორციული წესით, რაც გულისხმობს საარჩევნო სიის მიხედვით პოლიტიკური პარტიებიდან კანდიდატის არჩევას, ისე მაჟორიტარიული წესით, როდესაც მოსახლეობა კონკრეტულ პიროვნებას ირჩევს პარლამენტში, რა დროსაც სავალდებულო არაა, რომ პარლამენტის წევრობის კანდიდატი მიეკუთვნებოდეს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას.

არ არსებობს უფლებრივი განსხვავება მაჟორიტარულ და პროპორციული წესით არჩეულ პარლამენტის წევრებს შორის, ყველა მათგანი სრულიად საქართველოს წარმომადგენელია, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მათი გაწვევა დაუშვებელია. თუმცა, არსებობს გარკვეული თავისებურება, რაც პროპორციული და მაჟორიტარული წესით არჩეულ პარლამენტის წევრებს ერთმანეთისგან გამოარჩევს. უპირველეს ყოვლისა, ესაა კონკრეტული საარჩევნო ოლქის, ჩვენს შემთხვევაში საგარეჯოს მოსახლეობის რეალური ინტერესების და პრობლემების ცოდნაა.

პარლამენტს, რომლის შემადგენლობაშიც შედის მაჟორიტარი პარლამენტის წევრიც გააჩნია მხოლოდ მისთვის განკუთვნილი უფლებამოსილება – განახორციელოს ხალხის მიერ უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების სახით მისთვის მინდობილი ინტერესები, საპარლამენტო კონტროლი, და განსაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. საქართველოს მოქალაქეებს გააჩნიათ ინდივიდუალური და საერთო ინტერესები საერთო ინტერესის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეკონომიკური კეთილდღეობა, საზოგადოების უსაფრთხოება. აღნიშნული ინტერესების დასაკმაყოფილებლად პარლამენტი ეწევა კანონშემოქმედებით საქმიანობას, იღებს კანონებს- სავალდებულო წესებს, რომლებიც ასახავენ მოსახლეობის ინტერესებს და მიმართულია მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონის აღსრულებას ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლება- საქართველოს მთავრობა, სამინისტროები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მუნიციპალიტეტები, ამავდროულად, პარლამენტს გააჩნია უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მიერ კანონების შესრულებას, მთავრობის მიერ მოსახლეობის საერთო და ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინების პროცესს, ადამიანთა უფლებების დაცვას. ამ კუთხით მაჟორიტარ პარლამენტის წევრს უფლება აქვს:

– სათათბირო ხმის უფლებით მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში და მათ წინაშე დასვას საქართველოს კანონებისა და სხვა აქტების დარღვევის საკითხები, მაგალითად, მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს – განიხილოს კონკრეტული პირისათვის საციალური დახმარების შეჩერების კანონიერების საკითხი.

– კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებას, მიიღოს და შეაფასოს პასუხები; შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესრულების შემოწმების საკითხი; შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო ორგანიზაციაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა; უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში.

– ამომრჩევლებთან მუშაობის ორგანიზების, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების საქმიანობაში და ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში პარლამენტის წევრის მონაწილეობის მიზნით ადგილზე იქმნება მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ბიურო. ბიუროს მეშვეობით მაჟორიტარი პარლამენტის წევრი იღებს სრულყოფილ ინფორმაციას შესაბამის საარჩევნო ოლქში მცხოვრები მოსახლეობის პრობლემების და ინტერესების შესახებ, აწყობს შეხვედრებს მოსახლეობასთან და ხელს უწყობს მოქალაქეებს მათ წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში. ამგვარად, მაჟორიტარი პარლამენტის წევრი გარდა კანონშემოქმედებითი საქმიანობისა, აქტიურად უწყობს ხელს მოსახლეობის ინდივიდუალური ინტერესების დაცვასაც.

---

<u>**დასასრული**</u>

# როგორი ფორმა იქნება მისაღები?!

სხვადასხვა არასამართლებრივი საშუალებებით მონარქს პასუხს აგებინებდნენ თავისი მოქმედებისათვის, მაგალითად რევოლუციების პერიოდში, როდესაც მონარქიულ მმართველობას ცვლიდა რესპუბლიკა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ინგლისის ისტორიის ერთ-ერთი ეპიზოდი, როდესაც ოლივერ კრომველმა რევოლუციის დროს გამოაცხადა რესპუბლიკა და მონარქი კარლ I სტიუარტი სიკვდილით დასჯილ იქნა.

საგარეო ურთიერთობებში მონარქი სხვა სახელმწიფოებთან წარმოადგენს თავის ქვეყანას. მონარქი იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მნიშვნელოვან ფინანსურ სახსრებს და აქვს უფლება თავისი პიროვნების განსაკუთრებული დაცვისა. სხვადასხვა ქვეყანაში მონარქი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიება: შაჰი, ემირი, იმპერატორი, სულთანი, მეფე, ხელმწიფე, ფარაონი და სხვა. მონარქიის სახესხვაობები არსებობდა სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში. ამ შემთხვევაში ჩვენ ორიოდე სიტყვით შევეხებით მონარქიის იმ ნაირსახეობებს, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში არსებობს.

აბსოლუტური მონარქია

მონარქიის ეს სახე, ძირითადად გავრცელებული და დამახასიათებელი იყო გვიანი ფეოდალიზმისათვის. აბსოლუტური მონარქია თანამედროვე მსოფლიოში გვხვდება მეტად იშვიათად, ძირითადად აღმოსავლეთის ქვეყნებში: საუდის არაბეთში, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში, ომანში, კატარში, კუვეიტში, ბრუნეისა და სხვა. აბსოლუტური მონარქია ნიშნავს აბსოლუტურ ხელისუფლებას. მონარქის ხელშია თავმოყრილი მთელი სისრულე სახელმწიფო ხელისუფლებისა. ასეთ ქვეყნებში არ არსებობს პარლამენტი, მთავრობა ფორმირდება მონარქის მიერ და პასუხისმგებელია მხოლოდ მის წინაშე. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრს, იგი, როგორც წესი, მონარქის შვილი, ძმა ან სხვა ნათესავია. მონარქს ნებისმიერ დროს შეუძლია მთავრობის წევრების გადაყენება, ეს მთლიანად მასზეა დამოკიდებული. როგორც ვთქვით, აბსოლუტური მონარქიის დროს მონარქის ხელისუფლება იურიდიულად შეუზღუდავია, მაგრამ შეზღუდვა შეიძლება არსებობდეს პოლიტიკურ, მორალურ-ეთიკურ და რელიგიურ ასპექტში. ზოგიერთ ქვეყანაში აბსოლუტური მონარქი ასევე არის უმაღლესი სასულიერო პირი, რაც, რა თქმა უნდა, ნიშნავს მონარქის ხელისუფლების კიდევ უფრო გაძლიერებას თეოკრატიული შინაარსით. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, აბსოლუტური მონარქია აბსოლუტურ-თეოკრატიული ხასიათისაა. აბსოლუტური მონარქიის ქვეყნებისათვის უცხოა კონსტიტუციის არსებობა, მაგრამ თუ არსებობს იგი ოქტროირებულია და მეტადრე კვაზიკონსტიტუციაა, ვიდრე ქვეყნის უზენაესი კანონი (მაგალითად საუდის არაბეთი), ხოლო ომანის სასულთანოში კონსტიტუციის მაგივრობას ყურანი ასრულებს. აბსოლუტური მონარქია არსებობს ისეთ ქვეყნებში, სადაც ამგვარი მონარქიული მმართველობა მოსახლეობის მიერ აღქმულია ჩვეულებრივ მოვლენად, ვინაიდან ისინი იმყოფებიან სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიურ-ფსიქოლოგიური განვითარების ისეთ დონეზე, რომ სხვა მართვის ფორმები მათთვის უცხო და მიუღებელია.

საპარლამენტო (კონსტიტუციური) მონარქია

საპარლამენტო მონარქიებში მოქმედებს დემოკრატიული წესით მიღებული კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს (ორპალატიანი პარლამენტის დროს ირჩევა, როგორც წესი, ქვედა პალატა) და უნდა ითქვას, ეს ყველაზე გავრცელებული სახეა მონარქიისა თანამედროვე მსოფლიოში, აბსოლუტურ და დუალისტურ მონარქიებთან შედარებით. კონსტიტუციური მონარქია არის ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, იაპონია, ესპანეთი, ჰოლანდია, ბელგია, დანია. განვითარებადი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ტაილანდი, მალაიზია. მონარქი იურიდიულად ითვლება სახელმწიფოს მეთაურად, მაგრამ რეალურად იგი სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობას არ იღებს და იქმნება მდგომარეობა, როცა მონარქი „მეფობს“, მაგრამ არ „მართავს“. მთავრობა ყალიბდება იმ პარტიისაგან, რომელმაც უმრავლესობა მოიპოვა პარლამენტში, ხოლო პრემიერ-მინისტრი ამ პარტიის ხელმძღვანელია (ამასთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო მონარქიებში მონარქს რეალური ხელისუფლება არ გააჩნია, გამონაკლისებიც არსებობს, აქ მხედველობაში გვაქვს დიდი ბრიტანეთი. თუ პარლამენტის ქვედა პალატაში მანდატთა რაოდენობა თანაბრად განაწილდება პარტიებს შორის, ამ შემთხვევაში მთავრობის მეთაურის, პრემიერ-მინისტრის დანიშვნის უფლება აქვს მონარქს. ამ უფლებამოსილებას შეიძლება „მძინარე უფლებამოსილებაც“ ეწოდოს, რადგან მონარქი ამ უფლებას იშვიათად იყენებს, ვინაიდან იშვიათია თვით ამ უფლებამოსილების გამოყენების საფუძველიც, როცა თანაბრად იყოფა ქვედა პალატაში მანდატთა რაოდენობა. ასე, მაგალითად, ეს უფლებამოსილება გამოყენებულ იქნა ელისაბედ II-ის მიერ, როცა პრემიერ-მინისტრი გახდა ჰაროლდ მაკმილანი.

ძირითადი მახასიათებელი საპარლამენტო მონარქიისა არის ის, რომ მთავრობის ფორმირება ხდება პარლამენტის მიერ და მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. ე.ი. პარლამენტს შეუძლია მთავრობის გადაყენება მისთვის უნდობლობის გამოცხადებით. რაც შეეხება ვეტოს უფლებას, ზოგიერთ მონარქს კონსტიტუციურ მონარქიაში (მაგ. იაპონიაში) ამის უფლება საერთოდ არა აქვს, ან აქვს, მაგრამ არ იყენებს (მაგ. დიდ ბრიტანეთში მონარქს ვეტოს უფლება დაახლოებით 300 წელია არ გამოუყენებია). კონსტიტუციური მონარქია ითვალისწინებს პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობას, ამის თაობაზე გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრი იღებს, მაგრამ აფორმებს თავისი აქტით მონარქი. კონსტიტუციურ მონარქიაზე არ იქნება სრულყოფილი საუბარი, თუ არ შევეხებით მის ერთ-ერთ დამახასიათებელ ინსტიტუტს – კონტრასიგნაციას, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მონარქის მიერ გამოცემული აქტები იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ პრემიერ-მინისტრის ან შესაბამისი მინისტრის ხელმოწერის შემდეგ (როცა მონარქის ხელმოწერას გვერდზე პრემიერ-მინისტრის ან მინისტრის ხელმოწერა დაისმება). კონტრასიგნაციის პროცედურის წარმოშობის ისტორია მეტად საინტერესოა, ვინაიდან შუა საუკუნეებში მისი მიზანი იყო, მონარქს პასუხი არ ეგო ამა თუ იმ კანონის მოქმედების შედეგებზე და მთავრობის წევრი აქ, გარკვეულწილად, „განტევების ვაცის“ როლს ასრულებდა. დღეს კი მას სულ სხვა შინაარსი აქვს და ეს ცვალებადობა, რომელიც კონტრასიგნაციის ინსტიტუტის შინაარსია, კიდევ ერთხელ მიუთითებს კონსტიტუციის მონარქიის ფარგლებში მონარქის ხელისუფლების სისუსტეზე.

კონსტიტუციური მონარქია დემოკრატიული მონარქიაა, რისი თქმაც სხვა თანამედროვე მონარქიულ მმართველობებზე არ შეგვიძლია. აგრეთვე, კონსტიტუციური მონარქია გამოირჩევა სახალხო ხელისუფლიანობისა და პარლამენტარიზმის რეალური არსებობით. განსაკუთრებული ხასიათი აქვს კონსტიტუციურ მონარქიას იმ ქვეყნებში, რომლებიც ბრიტანული თანამეგობრობის წევრები არიან. ესენია: ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია და სხვა. ითვლება, რომ სახელმწიფოს მეთაური არის ბრიტანეთის მონარქი, რომელიც ამ ქვეყნებში წარმოდგენილია მის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორების სახით, ხოლო გენერალ-გუბერნატორების კანდიდატურების წარდგენას ამ ქვეყნების მთავრობები ან პარლამენტები ახდენენ.. იმ ქვეყნებში, რომლებიც შედიან ბრიტანეთის თანამეგობრობაში და მმართველობის ფორმით წარმოადგენენ რესპუბლიკებს, მათ ჰყავთ არჩეული სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტის სახით, ასეთია ინდოეთი და პაკისტანი. რაც შეეხება მონარქის სხვა უფლებამოსილებებს კონსტიტუციურ მონარქიებში, ესენი შემდეგია: მონარქი იღებს რწმუნებათა და გაწვევის შედეგებს უცხო ქვეყნების ელჩებისაგან, აჯილდოებს მოქალაქეებს ორდენებითა და მედლებით, ანიჭებს ტიტულებსა და ჩინებს. მონარქი ანსახიერებს და წარმოადგენს ქვეყანას ოფიციალური ვიზიტების დროს სხვა ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ მას არ გააჩნია რეალური ხელისუფლება, იგი მაინც რჩება ერისა და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოდ.

## სპორტი

# გიორგიწმინდაში ვანო ოტიაშვილის მემორიალი ჩატარდა

### ქართული ჭიდაობა

**26 ნოემბერს** აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ორგანიზებით გიორგიწმინდის სპორტული დარბაზის არენაზე ჩატარდა აქაური ფალავნის ვანო ოტიაშვილის მემორიალი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც ამ დარბაზის აღსაზრდელებთან ერთად „სპორტგაერთიანების“ ჭიდაობის სხვა სექციების ნორჩი აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ.

ტურნირი 27 კგ წონით კატეგორიის მოჭიდავეებმა გახსნეს, სადაც იმარჯვა და I ადგილი დაიკავა დავით კევლიშვილმა. მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდა თამაზ მღვდელაძეს, III ადგილები გაინაწილეს გიორგი ბეჟიაშვილმა და ბექა ბაქარაშვილმა.

30 კგ წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა ლევან ღრეჟულმა, მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა ლევან ჩახვაშვილი, მესამეზე – ლუკა ჯინჭარაძე და ვახტანგ ჭიაბერაშვილი.

35 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა თენგო ზირაქაშვილი, მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდა გიგა მასურაშვილს, მესამე ადგილები დაიკავეს საბა ოთარაშვილმა და გიორგი ზუკაკიშვილმა.

40 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი ლექსო ზუკაკიშვილი აღმოჩნდა, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში დაამარცხა გიორგი არღვლიანი. მესამე ადგილებზე გავიდნენ ბექა მაისურაძე და ნიკა კუზანაშვილი.

46 კგ წონით კატეგორიში პირველი ადგილი გიორგი დურიშვილმა დაიკავა. მომდევნო მეორე ადგილზე გავიდა ზაზა შალვაშვილი, მესამეებზე – დათო პატარკაციშვილი და ლევან კევლიშვილი.

50 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდხა თენგო ხებრელაშვილი, მეორე ადგილზე გავიდა თენგო გორელიშვილი.

მძიმე წონაში უძლიერესი იყო სანდრო სონიშვილი, მეორე ადგილზე გავიდა მიხეილ გურგენიძე, მესამეზე – ბექა დიღმელაშვილი.

გაიმართა შეჯიბრება აბსოლუტურ წონაშიც, სადაც გიორგიწმინდის დეპუტატის ვანო ბეჟიაშვილისა და მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის გიორგი ჭიაბერაშვილის მიერ დაწესებული პრიზი – ჭედილა დაისაკუთრა ელდარ ჯიქიძემ. მეორე ადგილზე გავიდა ხვიჩა გუგუტიშვილი, მესამეზე გაიოზ ბუჩაშვილი.

მემორიალზე ერთ საინტერესო პრეცედენტსაც ჩაეყარა საფუძველი. პირველად საგარეჯოს ისტორიაში ქართულ ჭიდაობაში მონაწილეობა მიიღეს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელ ლუდა ფერაძის ძიუდოისტმა გოგონებმა, რომელთაც სამ წონით კატეგორიაში იასპარეზეს.

აქ 30 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა მარი ხოსიტაშვილი, მეორე ადგილი დაიკავა თათა სუხაშვილმა, მესამე – ლალი ხოსიტაშვილმა.

40 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა სალომე გულისაშვილი, მეორე ადგილზე კი ანა ასანიშვილი გავიდა.

50 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა თინანო რევაზიშვილმა, მეორე ადგილზე გავიდა მარი ლაფაჩიშვილი, მესამეზე – მარი კოხტაშვილი. ტურნირზე მთავარ პრიზებთან ერთად ბიზნესმენ გიორგი მეკოკიშვილის მიერ დაწესებული იყო სხვა პრიზები და საჩუქრები. ტურნირზე ყოფილი აღსაზრდელის ვანო ოტიაშვილის თასი დააწესა მისმა მწვრთნელმა გია ხოსიტაშვილმა, რომელიც პირადად გადასცა 35 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ დავით კევლიშვილს.

აქვე, აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექცია დიდ მადლობას უხდის ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გზირიშვილს*** იმ ყურადღებისა და თანადგომისათვის, რაც მან გამოიჩინა აღნიშნული ტურნირის ჩატარებასა და ამით ქართული ჭიდაობის შემდგომი პოპულარიზაციის საქმეში.

გარეჯული სპორტის თავკაცები ასევე დიდ მადლობას მოახსენებენ ბიზნესმენ გიორგი მეკოკიშვილს იმ დიდი დახმარებისა და მზრუნველობისათვის, რასაც იგი წლების მანძილზე იჩენს მუნიციპალიტეტში ჭიდაობის განვითარებისათვის; გიორგიწმინდელ დეპუტატს ვანო ბეჟიაშვილსა და მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს გიორგი ჭიაბერაშვილს, რომლებმაც მემორიალის მთავარი პრიზის დაწესებით პატივი მიაგეს არა მარტო უდროოდ დაღუპული თანასოფლელის ხსოვნას, მათ თავიანთი წილი აგური დადეს ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციის საქმეში. ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ მუნიციპალიტეტის სოფლებში გამოჩნდებიან კეთილი ნების ადამიანები, ჩაატარებენ სხვადასხვა სახის ტურნირებს ქართულ ჭიდაობაში, რითაც ხელს შეუწყობენ დავიწყების პირას მისული ქართული ჭიდაობის აღორძინების საქმეს.

# გურჯაანის რესპუბლიკურ ტურნირზე

### ძიუ-დო

**5-6 დეკემბერს** გურჯაანში ჩატარდა ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში 2003-2005 წლიან კადეტთა შორის, რომელშიც თბილისის, გორის, კასპის, ბოლნისის, მარნეულის, ხაშურის, თელავის, ახმეტის და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების მოჭიდავეებთან შერკინებაში თავიანთ ძალებს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელების მამუკა მათიაშვილის, ნუკრი გაგნიაშვილისა და ბადრი ბასილაშვილის აღსაზრდელებიც სცდიდნენ.

ორდღიან ასპარეზობაში ნორჩი საგარეჯოელი ძიუდოისტებისათვის უფრო შედეგიანი 5 დეკემბერი აღმოჩნდა, როცა მათ საპრიზო ადგილის დაკავება შეძლეს. კერძოდ, ტურნირის ჩემპიონი 23 კგ წონით კატეგორიაში გახდა შოთა ბაჩოშვილი, ხოლო დავით კევლიშვილმა და გიორგი სონიძემ მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს შესაბამისად 27 და 30 კგ წონით კატეგორიებში.

შეჯიბრების მეორე დღეს წარმატება მხოლოდ ერთმა გარეჯელმა ძიუდოისტმა იზეიმა. მძიმე წონაში III საპრიზო ადგილი დაიკავა სანდრო სონიშვილმა, რომელსაც, თვითმხილველთა გადმოცემით, მეტი მოწადინების შემთხვევაში შეეძლო I-II ადგილებისათვის ბრძოლა.

*გივი დაბახიშვილი*

### იქნებ გვეცადა?!

# მუდრები, ანუ თითების იოგა

**მუდრა (ენერგიის ამწევი)**



ეს მუდრა დაგეხმარებათ გაციების და ფილტვების ანთებისას, რადგან ის ახდენს ორგანიზმის დამცველი ძალების (იმუნიტეტის) მობილიზებას. ასევე გამოიყენება ზედმეტი წონის შემთხვევაში, ოღონდ გარკვეულ დიეტასთან ერთად.

**შესრულების მეთოდიკა:** ხელის გულები მიდებულია ერთმანეთზე, თითები გადაჭდობილი, ხოლო ერთი ხელის ცერა თითი შემოჭდობილია მეორე ხელის ცერა თითზე.

**მუდრა (სიცოცხლის გადამრჩენი)**

ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუდრა, რომლის ცოდნა აუცილებელია ყველასათვის, რადგან მას შეუძლია გაგიხანგრძლივოთ სიცოცხლე. მისი გამოყენება განსაკუთრებით რეკომენდებულია გულის შეტევის, ინფარქტის და გულის უკმარი-



სობის დროს. სავალდებულოა, რომ შესრულდეს ორივე ხელით, რაც საბოლოო ჯამში შვებას მოგიტანთ და შესაძლოა ფატალური შედეგიც თავიდან აგაცილოთ.

**შესრულების მეთოდიკა:** საჩვენებელი თითი მოხრილია ისე, რომ წვერით ედება ცერა თითის ძირს, ხოლო შუა, ცერა და არათითები ერთდება ბალიშებით, ნეკი გაშვებული და მოდუნებულია. ეს მუდრა სრულდება ორივე ხელით.

## მოსაგონარი

### ანიკო ლაფერიშვილი-კარანაძე



**1 წელიწადი** შესრულდა 11 დეკემბერს, რაც შენი ხმა აღარ გამიგონია ჩემო ოჯახის ერთგულო და უღალატო მეგობარო, ჩემი ცხოვრების უღლის გამწევო, ჩემო ანო-ანიკო. შენ ჩემთვის ღმერთის გამოგზავნილი იყავი – უბოროტო, სტუმართმოყვარე, ყოველთვის სხვებზე მზრუნველი და მოამაგე. უქმად არასოდეს ჩერდებოდი, გეხერხებოდა ჭრაკერვა, ქსოვა, საბან-ლეიბის კერვა. ამ ხელსაქმეს სხვებსაც ხალისით ასწავლიდი. გიყვარდა ქართული, რუსული ლიტერატურა, ზეპირად მეტყოდი პუშკინის, ლერმონტოვის და სხვა პოეტების ლექსებს, მიკითხავდი მათ მოთხრობებს, წაუკითხავს არ ტოვებდი ჟურნალ-გაზეთებს და ამასთან ერთად, შრომობდი თავდაუზოგავად. და დღეს რამ მანუგეშოს?! შენ აღარ მყავხარ გვერდით, ჩემი დაუზარელი და კაცთმოყვარე ადამიანი, რომელსაც ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში გყავდა მეგობრები, ჩემი აჭარა და აჭარელები შენიანებად გყავდა მიღებული, გიყვარდა იქაური ხალხის კახეთში სტუმრობა და კახური გულუხვობით მათი გამასპინძლება. ბათუმში კი კახელებს მასპინძლობდი, მთელი ზაფხული ჩვენი სახლის კარი ღია იყო დამსვენებელთათვის და შენ კი მზად მათ მისაღებად.

მტკივა უშენობა ჩემო ანო-ანიკო, ჩვენ ხომ 6 ათეული წელი ერთად, ერთ ჭერქვეშ გავატარეთ. ახლა მოგონებებით ვცხოვრობ, შენზე მოგონებებით და ერთად განვლილი ლამაზი წლებით. როგორი სიყვარულით გავზარდეთ ჩვენი ერთადერთი ქალიშვილი ნანა და მისი ორი ვაჟი.

მადლობა მინდა გითხრა იმ სიკეთისათვის, იმ ლამაზი წლებისათვის, იმ სიყვარულისათვის, რაც შენ ჩემს მიმართ, ჩვენი ოჯახის მიმართ გქონდა, ჩემო ანო. უფალმა გადმოგხედოს და სასუფეველი დაგიმკვიდროს. მენანები და მენატრები.

***შენი დაჩაგრული მეუღლე***

*გივი კარანაძე*

### გურამ დავითელაშვილი



**12 დეკემბერს** 33 წელი შეგისრულდა, ჩემო მოუშუშებელო ტკივილო! 11 წლის წინ, ივნისის იმ ავბედით ღამეს სამუდამოდ შეწყდა შენი და ჩემი – შენი წილი გულისფეთქვა, ჩემო სიხარულო. შენი პატარა გული მთელი კაცობრიობის სიყვარულს იტევდა. ხო, შვილო, შენ ყველა გიყვარდა შენი ალალი გულით. ნუგეშად შენი ანი დამიტოვე, რომელსაც სულ პაწაწინას სურათებით შემორჩა მამის ხატება. შენ, მოსახელე პატარა გურამი ახარებს ჩვენს გულებს, ისიც თავისი გვარის კაცებივით კაცთმოყვარე, ალალი და სიყვარულით გაჯერებული ბიჭია. გაიზრდება და უფრო კარგად გაიგებს – ვის სახელს ატარებს.

გილოცავ, დაბადების დღეს ჩემო ნაადრევად სიცოცხლეშეწყვეტილო, ერთ დროს სიცოცხლითა და ხალისით სავსევ, ჩემო გურამ!

*დედა –*

*ზინკა ჩიტაური*

თინა ილაური, თამუნა და ნინო შალვაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ გია ქაიხოსროშვილსა და მაკა გოგნიაშვილს ძმისა და მაზლის

**ბადრი ავთანდილის ძე ქაიხოსროშვილის**

გარდაცვალების გამო.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გარეჯის მაცნე

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru